

9/4

ი. ლომიძე

ფ. 2016-32816

ჩ 2708
2

აქინდელი ფოლკლორი სამკათლის ქაბადები

სტალინის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
გამომცემლობა
თბილისი - 1950



მარკულფის ფორმულებში დაცულია მამის მიერ ქალიშვილი-
სადმი ბოძებული სიგელი, რომლის მიხედვით ქალიშვილი ძმების
თანაბრად აღიარებულია კანონიერ და თანასწორუფლებიან მონა-
წილედ მამის მემკვიდრეობისა, როგორც ალოდური, ისე შეძენილი
მიწისა, მონებისა და, საერთოდ, ყოველივე სამკვიდრო ქონებისა
(იხ. სალიკური სამართლის LIX ტიტულის შენიშვნა).

ასეთია ის ცვლილებები, რომლებიც შეტანილ იქნა სალიკური
სამართლის მიხედვით დადგენილ წესში უძრავი ქონების (მიწის)
მემკვიდრეობის შესახებ.

ეს ცვლილებები დაკავშირებული იყო მიწაზე კერძო სამემკვიდრეო
გასახვისებელი საკუთრების — ალოდის, წარმოშობასთან, რამაც
ხელი შეუწყო მიწის თავისუფლად გასხვისებას და მსხვილი მი-
წათმფლობელობის ზრდას.

თავდაპირველად გერმანულ სამართალში არ იყო დაშვებული
ანდერძით მემკვიდრეობა, მაგრამ შემდეგ კერძო საკუთრების გან-
ვითარებასთან ერთად ჩვენ ვხედავთ, რომ კანონი სცნობს ანდერ-
ძით მემკვიდრეობასაც. ანდერძით მემკვიდრეობის გზით თანდათა-
ნობით შეტანილ იქნა ცვლილებები სალიკური სამართლის სათა-
ნადო ტიტულებში.

სალიკური სამართალი

I. სასამართლოში დაბარების შესახებ

§ 1. უკეთუ ვინმე დაბარებული იქნება სასამართლოში მეფის კანონების მიხედვით და არ გამოცხადდება, გადაიხდის 600 დენარს, რაც შეადგენს 15 სოლიდს¹.

§ 2. ხოლო თუ ის, ვინც სხვა დაიბარა სასამართლოში, თვითონ არ გამოცხადდება, და თუ მას რაიმე კანონიერი დაბრკოლება არ დააკავებს, გადაიხდის 15 სოლიდს იმის სასარგებლოდ, ვისაც იგი სასამართლოში დაიბარებს.

§ 3. ის, ვინც სხვას იბარებს სასამართლოში, მოწმეთა თანხლებით უნდა მივიდეს მის სახლთან და, თუ იგი შინ არ აღმოჩნდება, უნდა მოიხმოს მისი ცოლი ან რომელიმე შინაურთაგანი, რათა აუწყოს მას სასამართლოში დაბარება.

§ 4. ხოლო თუ (მოპასუხე) დაკავებული იქნება მეფის სამსახურის აღსრულებით, იგი არ შეიძლება დაბარებულ იქნას სასამართლოში.

§ 5. უკეთუ იგი თემის გარეთ იქნება თავის პირად საქმეზე, შეიძლება დაბარებულ იქნას სასამართლოში, როგორც ზემოთ მოხსენებულია.

II. ღირის მოპარვის შესახებ

§ 1. თუ ვინმე მოიპარავს ძუძუმწოვარ გოქს და მხილებული იქნება, გადაიხდის 120 დენარს, რაც შეადგენს 3 სოლიდს.

¹ სოლიდი—ოქროს მონეტა; დენარი—ვერცხლის მონეტა. სალიკური სამართლის მიხედვით, ერთი ოქროს სოლიდი უდრის ვერცხლის 40 დენარს. რიპუარების, ალამანების და ბავარიელთა სამართლის მიხედვით, ერთი ოქროს სოლიდი უდრის ვერცხლის 12 დენარს. ხშირად კომპოზიციის ანაზღაურება ნატურის სახით ხდებოდა. რიპუართა სამართლია მიხედვით, ჯანსაღი ხარი ღირს 2 სოლიდი. საქსონიის სამართალი ასხვავებს დიდ და პატარა სოლიდს. დიდი სოლიდი უდრის 16 თვის ხარს, პატარა სოლიდი უდრს 12 თვის მოზგერს ან ცხვარს ბატკნითურთ. აქედან ცხადია, რა მნიშვნელობა ჰქონდა სასჯელს წარმოადგენს ვერცხლის გადახდა.

დამ. 1-ლი. უკეთუ ვინმე მოიპარავს მესამე ყრის¹ გოჭს, გადაიხდის 15 სოლიდს, რაშიც არ შედის მოტაცებულის ღირებულება² და ზარალის საზღაური³.

დამ. მე-2. უკეთუ ვინმე მოიპარავს გოჭს დაკეტილი საღორედან, გადაიხდის 45 სოლიდს.

§ 2. უკეთუ ვინმე მოიპარავს გოჭს, რომელსაც შეუძლია უდოდ იცოცხლოს და მხილებული იქნება, გადაიხდის 40 დენარს, რაც შეადგენს 1 სოლიდს.

§ 3. უკეთუ ვინმე ქურდულად დაჭკრავს მაკე ღორს (რის შედეგად აღმოჩნდება მუცლის მოშლა)⁴ და მხილებული იქნება, გადაიხდის 280 დენარს, რაც შეადგენს 7 სოლიდს.

დამ. მე-3. უკეთუ ვინმე მოიპარავს ღორს გოჭებიანად, გადაიხდის 700 დენარს, რაც შეადგენს 17 $\frac{1}{2}$ სოლიდს.

§ 4. უკეთუ ვინმე მოიპარავს ერთი წლის ბურვაკს და მხილებული იქნება, გადაიხდის 120 დენარს, რაც შეადგენს 3 სოლიდს; ამაში არ შედის მოტაცებულის ღირებულება და ზარალის საზღაური (excepto capitale et dilatura).

§ 5. უკეთუ ვინმე მოიპარავს ორი წლის ღორს, გადაიხდის 600 დენარს, რაც შეადგენს 15 სოლიდს; ამაში არ შედის მოტაცებულის ღირებულება და ზარალის საზღაური.

§ 6. ასეთი ჯარიმა გადახდება აგრეთვე მსგავს პირობებში ორი ღორის მოპარვისას.

§ 7. უკეთუ ვინმე მოიპარავს სამ ან მეტ ღორს, გადაიხდის 1400 დენარს, რაც შეადგენს 35 სოლიდს; ამაში არ შედის მოტაცებულის ღირებულება და ზარალის საზღაური.

§ 8. უკეთუ ვინმე მოიპარავს გოჭს კოლტიდან, გადაიხდის 600 დენარს, რაც შეადგენს 15 სოლიდს.

§ 9. უკეთუ ვინმე მოიპარავს 1 წლამდე ასაკის დაკოდილ გოჭს, გადაიხდის 120 დენარს, რაც შეადგენს 3 სოლიდს.

§ 10. ხოლო თუ ვინმე მოიპარავს 1 წლისაზე მეტი ასაკის ბურვაკს, გადაიხდის 600 დენარს, რაც შეადგენს 15 სოლიდს; ამაში არ შედის მოტაცებულის ღირებულება და ზარალის საზღაური.

¹ in tertia chranne—ბუნდოვანი გამოთქმა; არსებობს სხვა განმარტებაც: „მესამე (შინაგანი) საღორედან“.

² Capitale—მოტაცებული ნივთის ღირებულება.

³ Dilatura—ზარალის საზღაური. ანაცდენი სარგებლობა.

⁴ ფრჩხილებში ჩასმული სიტყვები ლათინურ ტექსტში არ არის. ყველგან, სადაც ასეთი სიტყვები გვხვდება, მოყვანილია მხოლოდ ქართული თარგმანის აზრის ნათელსაყოფად.

§ 11. უკეთუ ვინმე მოიპარავს ტახს ან კოლტის მძლოლ ღორს, გადაიხდის 700 დენარს, რაც შეადგენს 17 $\frac{1}{2}$ სოლიდს; ამაში არ შედის მოტაცებულის ღირებულება და ზარალის საზღაური.

§ 12. უკეთუ ვინმე მოიპარავს ზეარაკად შეწირულ¹ კერატს და იგი შეწირული რომ იყო, ეს შეიძლება დამტკიცდეს მოწმეებით, გადაიხდის 700 დენარს, რაც შეადგენს 17 $\frac{1}{2}$ სოლიდს; ამაში არ შედის მოტაცებულის ღირებულება და ზარალის საზღაური.

§ 13. უკეთუ კერატი არ ყოფილა შეწირული, (ქურდი) გადაიხდის² 15 სოლიდს.

დამ. მე-4. უკეთუ ვინმე კოლტიდან მოიპარავს 15 ღორს, გადაიხდის 35 სოლიდს.

§ 14. უკეთუ ვინმე მოიპარავს 25 ღორს, ამასთან კოლტში მეტი არაფერი არ დარჩება და (ქურდი) მხილებული იქნება, გადაიხდის მთელი კოლტის მოპარვისათვის 2500 დენარს, რაც შეადგენს 62 სოლიდს.

§ 15. უკეთუ კოლტში დარჩება მოუპარავი ღორები, (ქურდი) გადაიხდის 1400 დენარს, რაც შეადგენს 35 სოლიდს; ამაში არ შედის მოტაცებულის ღირებულება და ზარალის საზღაური.

§ 16. უკეთუ მოპარული იქნება 50 ღორი, და თუ კიდევ დარჩება ზოგიერთი (მოუპარავი), (ქურდი) გადაიხდის 2500 დენარს, რაც შეადგენს 63 სოლიდს; ამაში არ შედის მოტაცებულის ღირებულება და ზარალის საზღაური.

III. ჩქიანი პიკუჟუნი მოპარვის შესახებ

§ 1. უკეთუ ვინმე მოიპარავს ძუჭუმწოვარ ხბოს და მხილებული იქნება, გადაიხდის 120 დენარს, რაც შეადგენს 3 სოლიდს.

§ 2. უკეთუ ვინმე მოიპარავს ერთი ან ორი წლის პირუტყვს და მხილებული იქნება, გადაიხდის 600 დენარს, რაც შეადგენს 15 სოლიდს.

§ 3. უკეთუ ვინმე მოიპარავს ხარს ან ძროხას ხბოიანად, გადაიხდის 1400 დენარს, რაც შეადგენს 35 სოლიდს.]

¹ ორიგინალში აღნიშნულია votivus, რაც ნიშნავს „შეწირულს“, „მსხვერპლად გაღებულს“.

² ორიგინალში სწერია: „culpabilis iudicetur“, რაც რუსულად თარგმნილია — „присуждается к уплате“; ჩვენ ვთარგმნი: „გადაიხდის“, „გადახდება“.

დამ. 1-ლი. თუ ვინმე მოიპარავს ძროხას უხბოდ, გადაიხდის 30 სოლიდს, რაშიც არ შედის მოტაცებულის ღირებულება და ზარალის საზღაური.

დამ. მე-2. თუ ვინმე მოიპარავს შინაურ ძროხას, გადაიხდის 35 სოლიდს, რაშიც არ შედის მოტაცებულის ღირებულება და ზარალის საზღაური.

§ 4. უკეთუ ვინმე მოიპარავს ბუღას, რომელიც ჯოგს მიუძღვეს და არასოდეს არ ყოფილა უღელში შებმული, გადაიხდის 1800 დენარს, რაც შეადგენს 45 სოლიდს.

§ 5. უკეთუ ეს ბუღა მომსახურებას უწევდა სამი ვილის (villa)¹ ძროხებს, ქურდი იხდის სამჯერ 45 სოლიდს.

დამ. მე-4. უკეთუ ვინმე მოიპარავს მეფის ხარს, გადაიხდის 3600 დენარს, რაც შეადგენს 90 სოლიდს; ამაში არ შედის მოტაცებულის ღირებულება და ზარალის საზღაური.

§ 6. უკეთუ ვინმე მოიპარავს 12 პირუტყვს და არც ერთი არ დარჩება (ჯოგში), მთელი ჯოგის მოპარვისათვის გადაიხდის 2500 დენარს, რაც შეადგენს 63 სოლიდს; ამაში არ შედის მოტაცებულის ღირებულება და ზარალის საზღაური.

დამ. მე-5. უკეთუ, გარდა ამ 12 პირუტყვისა, ზოგიერთი კიდევ დარჩება, გადაიხდის 35 სოლიდს, რაშიც არ შედის მოტაცებულის ღირებულება და ზარალის საზღაური.

§ 7. უკეთუ ვინმე მოიპარავს 25 პირუტყვამდე და თუ ზოგიერთი კიდევ დარჩება, გადაიხდის 2500 დენარს, რაც შეადგენს 63 სოლიდს; ამაში არ შედის მოტაცებულის ღირებულება და ზარალის საზღაური.

IV. მხვილის მოპარვის შესახებ

§ 1. უკეთუ ვინმე მოიპარავს ძუძუმწოვარ ბატკანს და მხილებული იქნება, გადაიხდის 7 დენარს, რაც შეადგენს სოლიდის მესამედის ნახევარს.

§ 2. უკეთუ ვინმე მოიპარავს ერთი ან ორი წლის ვერძს, გადაიხდის 120 დენარს, რაც შეადგენს 3 სოლიდს; ამაში არ შედის მოტაცებულის ღირებულება და ზარალის საზღაური.

¹ Villa-ს ფეოდალურ სამართალში სხვადასხვა მნიშვნელობა ჰქონდა. იგი ნიშნავდა მამულს, სოფელს, დასახლებულ ადგილს, კარმიდასოს და სხვ.

§ 3. თუ ვინმე მოიპარავს 3 ვერძს, გადაიხდის 1400 დენარს, რაც შეადგენს 35 სოლიდს. ასევე ჯარიმა უნდა იქნას დადებული იმ შემთხვევაშიც, თუ მოპარულ იქნა მეტი რაოდენობით, 40-მდე ვერძი.

§ 4. უკეთუ ვინმე მოიპარავს 40 ან მეტ ვერძს, მთელი ჯოგის მოპარვისათვის გადაიხდის 2500 დენარს, რაც შეადგენს 63 სოლიდს, ამაში არ შედის მოტაცებულის ღირებულება და ზარალის საზღაური.

V. თხის მოპარვის შესახებ

§ 1. უკეთუ ვინმე მოიპარავს 3 თხას და მხილებული იქნება, გადაიხდის 120 დენარს, რაც შეადგენს 3 სოლიდს; ამაში არ შედის მოტაცებულის ღირებულება და ზარალის საზღაური.

§ 2. უკეთუ ვინმე მოიპარავს 3-ზე მეტს, გადაიხდის 600 დენარს, რაც შეადგენს 15 სოლიდს; ამაში არ შედის მოტაცებულის ღირებულება და ზარალის საზღაური.

დამ. 1-ლი. უკეთუ ვინმე მოიპარავს ვაცს, გადაიხდის 15 სოლიდს, რაშიც არ შედის მოტაცებულის ღირებულება და ზარალის საზღაური.

VI. ძაღლის მოპარვის შესახებ

§ 1. უკეთუ ვინმე მოიპარავს ან მოკლავს მონადირე გაწვრთნილ ძაღლს, გადაიხდის 600 დენარს, რაც შეადგენს 15 სოლიდს.

დამ. 1-ლი. უკეთუ ვინმე მოიპარავს მეძებარ (მწვეარ?) ძაღლს, გადაიხდის 600 დენარს, რაც შეადგენს 15 სოლიდს; ამაში არ შედის მოტაცებულის ღირებულება და ზარალის საზღაური.

დამ. მე-2. უკეთუ ვინმე მზის ჩასვლის შემდეგ მოკლავს საბმელს შეჩვეულ ძაღლს, გადაიხდის ზემოაღნიშნულ ჯარიმას.

§ 2. უკეთუ ვინმე მოიპარავს ან მოკლავს მწყემსის ძაღლს, გადაიხდის 120 დენარს, რაც შეადგენს 3 სოლიდს; ამაში არ შედის მოტაცებულის ღირებულება და ზარალის საზღაური.

VII. ზრინჯულის მოპარვის შესახებ

§ 1. უკეთუ ვინმე მოიპარავს ხეზე მჯდომ ქორს და მხილებული იქნება, გადაიხდის 120 დენარს, რაც შეადგენს 3 სოლიდს; ამაში არ შედის მოტაცებულის ღირებულება და ზარალის საზღაური.

§ 2. უკეთუ ვინმე მოიპარავს ქანდარაზე მჯდომ ქორს, გადაიხდის 600 დენარს, რაც შეადგენს 15 სოლიდს.

§ 3. უკეთუ ვინმე მოიპარავს ქორს დაკეტილიდან და მხილებული იქნება, გადაიხდის 1800 დენარს, რაც შეადგენს 45 სოლიდს; ამაში არ შედის მოტაცებულის ღირებულება და ზარალის საზღაური.

დამ. 1-ლი. უკეთუ ვინმე მოიპარავს მიმინოს, გადაიხდის 120 დენარს, რაც შეადგენს 3 სოლიდს; ამაში არ შედის მოტაცებულის ღირებულება და ზარალის საზღაური.

დამ. მე-2. უკეთუ ვინმე მოიპარავს მამალს, გადაიხდის 120 დენარს, რაც შეადგენს 3 სოლიდს; ამაში არ შედის მოტაცებულის ღირებულება და ზარალის საზღაური.

დამ. მე-3. უკეთუ ვინმე მოიპარავს ქათამს, გადაიხდის 120 დენარს, რაც შეადგენს 3 სოლიდს; ამაში არ შედის მოტაცებულის ღირებულება და ზარალის საზღაური.

დამ. მე-4. უკეთუ ვინმე მოიპარავს წეროს ან შინაურ გედს, გადაიხდის 120 დენარს, რაც შეადგენს 3 სოლიდს.

§ 4. უკეთუ ვინმე მოიპარავს ბატს და მხილებული იქნება, გადაიხდის 120 დენარს, რაც შეადგენს 3 სოლიდს.

დამ. მე-5. უკეთუ ვინმე მოიპარავს მტრედს სხვისი ბაღიდან, გადაიხდის 3 სოლიდს.

დამ. მე-6. უკეთუ ვინმე მოიპარავს წვრილ ფრინველს ბაღიდან, გადაიხდის 3 სოლიდს.

დამ. მე-7. უკეთუ ვინმე დააზიანებს ან მოიპარავს შინაურ ვაშლის ხეს, რომელიც დგას ეზოში ან ეზოს გარეთ, გადაიხდის 3 სოლიდს.

დამ. მე-8. უკეთუ ვაშლის ხე ბაღში დგას და ვინმე მას დააზიანებს ან მოიპარავს, გადაიხდის 600 დენარს, რაც შეადგენს 15 სოლიდს.

დამ. მე-9. ჩვენ ვბრძანებთ იგივე ჯარიმა დაწესდეს ვენახის მიმართაც.

დამ. მე-10. უკეთუ ვინმე მოიპარავს დანას, გადაიხდის 600 დენარს, რაც შეადგენს 15 სოლიდს.

დამ. მე-11. უკეთუ ვინმე სხვის ტყეში მოიპარავს, დასწვავს ან დააზიანებს მასალას, ან მოიპარავს სხვის შეშას, გადაიხდის 600 დენარს, რაც შეადგენს 15 სოლიდს; ამაში არ შედის მოტაცებულის ღირებულება და ზარალის საზღაური.

VIII. უზაკრის მოპარვის შესახებ

§ 1. უკეთუ ვინმე მოიპარავს ერთ სკას დაკეტილიდან და მხილებული იქნება, გადაიხდის 1800 დენარს, რაც შეადგენს 45 სოლიდს.

§ 2. უკეთუ ვინმე მოიპარავს ერთ სკას და ქურდობის ადგილზე მეტი სკა არ იყო, უნდა შეეფარდოს ჯარიმა, როგორც წინანდელ შემთხვევაში.

დამ. 1-ლი. უკეთუ ვინმე დახურულიდან ან დაკეტილიდან მოიპარავს ერთ სკას სხვა სკებს შორის, უნდა გადახდეს ზემოაღნიშნული ჯარიმა; ამაში არ შედის მოტაცებულის ღირებულება და ზარალის საზღაური.

დამ. მე-2. უკეთუ ვინმე მოიპარავს ერთ სკას ფუტკრებიანად სახურავგარეთ, სადაც მეტი (სკა) არ იყო, იხდის ზემოხსენებულ ჯარიმას, რაშიც არ შედის მოტაცებულის ღირებულება და ზარალის საზღაური.

§ 3. უკეთუ ვინმე მოიპარავს მეტს, 6 სკამდე, ღია ადგილას, და კიდევ რაიმე დარჩება, გადაიხდის 600 დენარს, რაც შეადგენს 15 სოლიდს; ამაში არ შედის მოტაცებულის ღირებულება და ზარალის საზღაური.

§ 4. უკეთუ ვინმე მოიპარავს 7 თუ მეტ სკას, და იქ კიდევ რაიმე დარჩება, გადაიხდის 1800 დენარს, რაც შეადგენს 45 სოლიდს; ამაში არ შედის მოტაცებულის ღირებულება და ზარალის საზღაური.

დამ. მე-3. უკეთუ ვინმე მოიპარავს 7 თუ მეტ სკას, ადგილზე კი არც ერთი არ დარჩება, გადაიხდის 1800 დენარს, რაც შეადგენს 45 სოლიდს; ამაში არ შედის მოტაცებულის ღირებულება და ზარალის საზღაური.

IX. ყანის ან რომელიმე შემოკავებული ადგილისათვის ზიანის მიყენების შესახებ

§ 1. უკეთუ ვინმე თავის ყანაში მიუსწრებს რქიან პირუტყვს, გინდ ცხენს, გინდ რომელიმე წვრილფეხა პირუტყვს, ცემით არ უნდა დაასახიროს ისინი. უკეთუ იგი ამას იზამს და გამოტყდება, ვალდებულია აანაზღაუროს მათი ღირებულება, ხოლო დასახიროებული პირუტყვი თვითონ წაიყვანოს. უკეთუ არ გამოტყდება და მხილებული იქნება, გადაიხდის 600 დენარს, რაც შეადგენს 15 სოლიდს; ამაში არ შედის ღირებულება და ზარალის საზღაური.

დამ. 1-ლი. უკეთუ ვინმე ქურდულად თავის დაღს დაასვამს რქიან პირუტყვს ან შესაბმელ ცხოველს, გადაიხდის 600 ლენარს, რაც შეადგენს 15 სოლიდს; ამაში არ შედის ღირებულება და ზარალის საზღაური.

§ 2. უკეთუ ვინმე თავის ყანაში მიუსწრებს სხვის პირუტყვს უმწყემსოდ, დაამწყვდევს და სრულიად არავის არ აცნობებს ამას, და თუ რომელიმე პირუტყვი მოკვდება, — ანაზღაურებს, როგორც ქურდობისას, ღირებულებას და, გარდა ამისა, გადაიხდის 1400 ლენარს, რაც შეადგენს 35 სოლიდს.

§ 3. უკეთუ ვინმე, თავისი დაუდევრობით, ზიანს მიაყენებს რქიან ცხოველს ან სხვა რომელიმე პირუტყვს და გამოტყდება ამაში, უნდა ანაზღაუროს ღირებულება, ხოლო დასახიჩრებული ცხოველი თვითონ წაიყვანოს. უკეთუ იგი უარზე დადგება და მხილებული იქნება, გადაიხდის 600 ლენარს, რაც შეადგენს 15 სოლიდს; ამაში არ შედის ღირებულება და ზარალის საზღაური.

§ 4. უკეთუ ვინმეს ღორები ან ვინმეს პირუტყვი შეიბრუნეს სხვის ყანაში და ცხოველის პატრონი, უარზე დადგომის მიუხედავად, მხილებული იქნება, გადაიხდის 600 ლენარს, რაც შეადგენს 15 სოლიდს.

§ 5. უკეთუ ვინმე განიზრახავს გარეკოს ზარალის მიმყენებელი პირუტყვი შემოკავებული ადგილიდან ან წაართვას იგი, როცა მას უკვე შინ მიერეკებიან, გადაიხდის 1200 ლენარს, რაც შეადგენს 30 სოლიდს.

დამ. მე-2. უკეთუ ვინმე მტრობით ან კადნიერებით გაარღვევს სხვის ღობეს და შეუშვებს პირუტყვს ყანაში, ან სათიბში, ან ვენახში, ან რომელიმე სხვა დამუშავებულ ადგილას, მაშინ იმას, ვისაც ეკუთვნის შრომა, თუ უკანასკნელი წარადგენს მამხილებელ საბუთებს მოწმეებითურთ, დამნაშავემ უნდა აუნაზღაუროს ზარალი და, გარდა ამისა, მას გადახდება 1200 ლენარი, რაც შეადგენს 30 სოლიდს.

X. მოწის ან ნივთავის მოპარვის შესახებ

§ 1. უკეთუ ვინმე მოიპარავს მოწას, ცხენს ან შესაბმელ ცხოველს, გადაიხდის 1200 ლენარს, რაც შეადგენს 30 სოლიდს.

§ 2. თუ მოწა ან მოწა-ქალი მოიპარავს რაიმეს თავისი ბატონის ნივთებიდან თავისუფალ ადამიანთან ერთად, მაშინ ქურდი

(ე. ი. თავისუფალი ადამიანი), გარდა იმისა, რომ იგი მოპარულ ნივთებს დააბრუნებს, გადაიხდის 600 ლენარს, რაც შეადგენს 15 სოლიდს.

დამ. 1-ლი. უკეთუ ვინმე მოპარავს, გაპყიდის ან გაათავისუფლებს სხვის მოწას, გადაიხდის 1400 ლენარს, რაც შეადგენს 35 სოლიდს.

დამ. მე-2. უკეთუ ვინმე მოიპარავს სხვის მოწა-ქალს, გადაიხდის 1200 ლენარს, რაც შეადგენს 30 სოლიდს.

დამ. მე-3. უკეთუ თავისუფალი ადამიანი თან წაიყვანს სხვის მოწას საქურდავად, ან მასთან ერთად რაიმეს განიზრახავს, გადაიხდის 600 ლენარს, რაც შეადგენს 15 სოლიდს.

დამ. მე-4. უკეთუ ვინმე მოიპარავს მოწა-ქალს, გადაიხდის 35 სოლიდს; ხოლო მეგენახისა, მჭედლისა, დურგლისა თუ მეჯინიბისათვის, რომელიც ღირს 30 სოლიდი, მხილების შემთხვევაში, გადაიხდის 2880 ლენარს, რაც შეადგენს 85 სოლიდს.

დამ. მე-5. უკეთუ ვინმე მოიპარავს ბიქს ან გოგოს ბატონის მსახურებიდან, გადაიხდის 35 სოლიდს, როგორც მოტაცებულის ღირებულებას და, გარდა ამისა, 1400 ლენარს, რაც შეადგენს 35 სოლიდს.

XI. თავისუფალი ადამიანის მიერ ჩაღანილი ქურდობისა ან შემოკავებით ქურდობის შესახებ

§ 1. უკეთუ ვინმე თავისუფალი ადამიანთაგანი სახლის გარეთ მოიპარავს 2 ლენარის ღირებულ რამეს, გადაიხდის 600 ლენარს, რაც შეადგენს 15 სოლიდს.

§ 2. უკეთუ იგი სახლის გარეთ მოიპარავს 40 ლენარის ღირებულ რამეს და მხილებული იქნება, გადაიხდის 1400 ლენარს, რაც შეადგენს 35 სოლიდს; ამაში არ შედის მოტაცებულის ღირებულება და ზარალის საზღაური.

§ 3. უკეთუ თავისუფალმა ადამიანმა შემტვრევით მოიპარა 2 ლენარის ღირებული რამე და მხილებულ იქნა, გადაიხდის 15 სოლიდს.

§ 4. უკეთუ მან 5 ლენარის ღირებულზე მეტი რამ მოიპარა და მხილებულ იქნა, გადაიხდის 1400 ლენარს, რაც შეადგენს 35 სოლიდს; ამაში არ შედის მოტაცებულის ღირებულება და ზარალის საზღაური.

§ 5. უკეთუ იგი შეამტკრევს საკეტს ან მოარგებს გასაღებს ამნაირად შევა სახლში და იქიდან რაიმეს მოიპარავს, გადაიხდის 1800 დენარს, რაც შეადგენს 45 სოლიდს; ამაში არ შედის მოტაცებულის ღირებულება და ზარალის საზღაური.

§ 6. უკეთუ იგი ვერაფერს წაიღებს და მხოლოდ თვითონ გაიქცევა, გადაიხდის 1200 დენარს, რაც შეადგენს 30 სოლიდს.

XII. მონის მიერ დაღანილი ქურდობისა ან შეგვრკაპით ქურდობის შესახებ

§ 1. უკეთუ მონა სახლის გარეთ მოიპარავს 2 დენარის ღირებულ რამეს, იგი დააბრუნებს მოტაცებულს და აანაზღაურებს ზარალს და, გარდა ამისა, გაწოლილს (სკამზე) 120-ჯერ დაარტყამენ მათრახს.

§ 2. უკეთუ იგი მოიპარავს 40 დენარის ღირებულ რამეს, ან დასაქურისებული იქნება, ანდა გადაიხდის 6 სოლიდს. ქურდობის ჩამდენი მონის ბატონი კი მოსარჩელეს აუნაზღაურებს მოპარულის ღირებულებასაც და ზარალსაც.

XIII. თავისუფალი ადამიანის მოგასახვის შესახებ

§ 1. უკეთუ სამი კაცი მოიტაცებს თავისუფალ ქალიშვილს თვითნებური მათგანი ვალდებულია გადაიხადოს 30 სოლიდი.

§ 2. ისინი კი, ვინც სამზე მეტია, ვალდებულნი არიან გადაიხადონ ხუთ-ხუთი სოლიდი თვითნებურად.

§ 3. ხოლო ისინი, ვისაც თან ისრები ჰქონდა, იხდიან სამშავს.

§ 4. მომტაცებლებს კი გადახდება 2500 დენარი, რაც შეადგენს 63 სოლიდს.

§ 5. უკეთუ ისინი მოიტაცებენ ქალიშვილს კლიტულიდან, ან ოთახიდან, იხდიან ღირებულებას და ჯარიმას, როგორც ზემოთ არის აღნიშნული.

§ 6. უკეთუ ქალიშვილი, რომელიც მოიტაცეს, მეფის მფარველობის ქვეშ იყო, ამ შემთხვევაში „fritus“-ის¹ დარღვევისათვის იხდიან 2500 დენარს, რაც შეადგენს 63 სოლიდს.

¹ აქ ლაპარაკია თავისუფალი ქალიშვილის მოტაცებაზე დაქორწინების მიზნით. ამით აიხსნება კომპოზიციის შემცირებული თდენობა (90 სოლიდი).

² კომპოზიციის ის ნაწილი, რომელიც მიდიოდა ოფიციალური ზელისუფლების სასარგებლოდ. სალიკური სამართლის მიხედვით fritus-ის თდენობა უდრიდა კომპოზიციის ერთმესამედს.

§ 7. მეფის მსახური (მონა) ან ლიტი¹, რომლებიც თავისუფალ ქალს მოიტაცებენ, სიკვდილით დაისჯებიან.

§ 8. უკეთუ თავისუფალი ქალიშვილი ნებაყოფლობით გაჰყვება მონას, ის ჰკარგავს თავისუფლებას.

§ 9. თავისუფალი კაცი, რომელმაც სხვისი მონა-ქალი წაიყვანა, ასეთსავე სასჯელს იხდის.

დამ. 1-ლი. უკეთუ ვინმე შეირთავს სხვის ლიტ-ქალს, გადაიხდის 1200 დენარს, რაც შეადგენს 30 სოლიდს.

დამ. მე-2. უკეთუ ვინმე დანაშაულებრივად დაქორწინდება დის თუ ძმის ან რომელიმე შორეული ნათესავის ქალიშვილზე, ან ძმის თუ ბიძის ცოლზე, დაისჯება იმით, რომ გაუქმდება ასეთი ცოლქმრობა. მას ბავშვებიც რომ ჰყავდეს, ისინი ჩაითვლებიან არაკანონიერ მემკვიდრეებად, არამედ დაბადებით სახელგატეხილებად.

§ 10. უკეთუ ვინმე მოიტაცებს სხვის საცოლეს და დაქორწინდება მასზე, გადაიხდის 2500 დენარს, რაც შეადგენს 63 სოლიდს.

დამ. მე-3. ხოლო საქმროს უხდის 15 სოლიდს.

დამ. მე-4. უკეთუ ვინმე თავს დაესხმის დანიშნულ ქალიშვილს მაყრიონის დროს და გააუპატიურებს, გადაიხდის 8000 დენარს, რაც შეადგენს 200 სოლიდს.

დამ. მე-5. უკეთუ ჯგუფი თავს დაესხმის თავისუფალ ქალს ან ქალიშვილს გზაში ან რომელიმე სხვა ადგილას და გაბედავს ძალადობა იხმაროს მის მიმართ, ძალადობის ჩადენის ყველა მონაწილეს მიესჯება 200 სოლიდის გადახდა თვითნებურად. ხოლო თუ ამ ჯგუფში აღმოჩნდებიან ისეთები, რომლებმაც არაფერი იცოდნენ ძალადობის დაშვების შესახებ, მაგრამ იქ იყვნენ, იქნებიან ისინი 3-ზე მეტნი თუ ნაკლებნი, თვითნებური მათგანი თავის მხრივ იხდის 45 სოლიდს.

XIV. თავდასხმის და გაძარცვის შესახებ

§ 1. უკეთუ ვინმე მოულოდნელად თავს დაესხმის და გაძარცვავს თავისუფალ ადამიანს და მხილებული იქნება, გადაიხდის 2500 დენარს, რაც შეადგენს 63 სოლიდს.

§ 2. უკეთუ რომელი გაძარცვავს სალიელ ბარბაროსს, უნდა გამოყენებულ იქნას ზემოხსენებული კანონი.

¹ ლიტი—ნახევრად თავისუფალი ადამიანი. მისი ვერგელდი თავისუფალი ფრანკის ნახევარ კომპოზიციას შეადგენდა (100 სოლიდი).

§ 3. უკეთუ ფრანკი გაძარცვავს რომაელს, გადაიხდის ჯარი-
მას 35 სოლიდს.

§ 4. უკეთუ ვინმე, ვისაც სურს სხვაგან გადასახლდეს, მიიღებს
მეფისაგან სიგელს და თუ იგი გაშლის ამ სიგელს საჯარო კრე-
ბაზე და ვინმე გაბედავს წინააღმდეგს მეფის ბრძანებას, უნდა გა-
დახდეს 8000 დენარი, რაც შეადგენს 200 სოლიდს¹.

§ 5. უკეთუ ვინმე თავს დაესხმის გადასახლებლად მიმავალ
ადამიანს, ჯგუფის ან თავდასხმის ყველა მონაწილეს გადახდება 2500
დენარი, რაც შეადგენს 63 სოლიდს.

§ 6. უკეთუ ჯგუფი თავს დაესხმის სხვის ვილას, ყველას, ვინც
მხილებული იქნება ამ თავდასხმაში, გადახდება 63 სოლიდი თვი-
თეულს.

დამ. 1-ლი. უკეთუ ვინმე თავს დაესხმის სხვის ვილას, ჩაამტვ-
რევს იქ კარებს, ამოხოცავს ძალებს და ქრილობებს მიაყენებს
ხალხს, ან რაიმეს გაიტანს იქიდან ურმით, გადაიხდის 8000 დე-
ნარს, რაც შეადგენს 200 სოლიდს.

დამ. მე-2. ხოლო ყველაფერს, რასაც იგი იქიდან წაიღებს,
მთლიანად დააბრუნებს. ყველა, ვინც მხილებული იქნება, როგორც
ამ ჯგუფის ან თავდასხმის მონაწილე, გადაიხდის 63 სოლიდს.

დამ. მე-3. უკეთუ ვინმე ქურდულად გაძარცვავს მძინარე კაცს
და მხილებული იქნება, გადაიხდის 4000 დენარს, რაც შეადგენს 100
სოლიდს.

დამ. მე-4. უკეთუ ვინმე გაძარცვავს მკვდარს, ვიდრე მას და-
მარხავდნენ, და მხილებული იქნება, გადაიხდის 4000 დენარს,
რაც შეადგენს 100 სოლიდს.

დამ. მე-5. უკეთუ ვინმე ამოთხრის გვამს და გაძარცვავს და
მხილებული იქნება, გადაიხდის 8000 დენარს, რაც შეადგენს 200
სოლიდს.

დამ. მე-6. უკეთუ ვინმე დადებს მკვდარ კაცს სხვაზე ხის თუ
ქვის კუბოში, გადაიხდის 2500 დენარს, რაც შეადგენს 62 1/2 სო-
ლიდს.

¹ ლუდოვიკო პირველის 819 წლის კაპიტულარში გადასახლებულთა შესახებ
ნათქვამია: „ამ ტიტულის (XLV) შესახებ დავადგინეთ, რომ არავის არ შეუძლია
წლობით სხვისი ვილით ან სხვისი ნივთებით სარგებლობა ან ფლობა, როგორც
ჩასახლებულს. მაგრამ როდესაც არ უნდა იყოს ამ ნივთების მომტაცებელი და-
ბარებული სასამართლოში, მან ისინი უნდა დაუბრუნოს მოსარჩელეს ან, თუ შეს-
ძლებს, დაამტკიცოს მასზე თავისი კანონიერი უფლება“. იხ. XLV ტიტულის
შენიშვნა, გვ. 36.

დამ. მე-7. უკეთუ ვინმე დააზიანებს მკვდრის საფლავის ძეგ-
ლებს, თვითეული ძეგლისათვის გადაიხდის 600 დენარს, რაც შე-
ადგენს 15 სოლიდს.

XV. მკვლავლის შესახებ ან თუ ვინმე მოიკლავს სხვის ყოლს

§ 1. უკეთუ ვინმე მოკლავს თავისუფალ ადამიანს, ან მოიტა-
ცებს სხვის ცოლს ცოცხალი ქმრისაგან, გადაიხდის 8000 დენარს,
რაც შეადგენს 200 სოლიდს.

XVI. მკვლავლის შესახებ

§ 1. უკეთუ ვინმე ცეცხლს წაუკიდებს რომელიმე სახლს, სა-
დაც მძინარე ხალხი იყო, თავისუფალმა ადამიანებმა, რომლებიც
შიგ იყვნენ, უნდა მისცენ იგი სამართალში, და თუ შიგნით რაიმე
დაიწვა, (ცეცხლის წამკიდებელი) გადაიხდის 2500 დენარს, რაც
შეადგენს 63 სოლიდს.

დამ. 1-ლი. სალიკური კანონის თანახმად, უნდა დაცულ იქნას
შემდეგი: თუ ვინმე დასწავს სხვის სახლს და დაზარალებულს არ
ექნება ადგილი, სადაც მოათავსოს ცეცხლს გადარჩენილი ნივთები,
და თუ (ბრალეული) დაბარებული იქნება სასამართლოში და არ
გამოცხადდება, მან შეიძლება გამართლება ჰპოვოს მხოლოდ იმ
შემთხვევაში, თუ მას დააკავებს ან ავადყოფობა, ან მეფის სამ-
სახური, ან რომელიმე მახლობლის სიკვდილი; წინააღმდეგ შე-
მთხვევაში სიკვდილით უნდა დაისაჯოს, ან გადაიხდის 200 სოლიდს.

§ 2. უკეთუ ვინმე დაწვავს სახლს მინაშენებით და მხილებული
იქნება, გადაიხდის 2500 დენარს, რაც შეადგენს 63 სოლიდს.

§ 3. უკეთუ ვინმე დაწვავს ბელელს ან ფარდულს პურიანად,
გადაიხდის 2500 დენარს, რაც შეადგენს 63 სოლიდს.

§ 4. თუ ვინმე დაწვავს სალორეს ღორებიანად ან ბაგებს ცხო-
ველებთან ერთად და მხილებული იქნება, გადაიხდის 2500 დე-
ნარს, რაც შეადგენს 63 სოლიდს; ამაში არ შედის ღირებულების
გადახდა და ზარალის საზღაური.

დამ. მე-2. და თუ იქ არაფერი არ დაჩჩება, ბრალეულს გა-
დახდება 8000 დენარი, რაც შეადგენს 200 სოლიდს; ამაში არ შე-
დის ღირებულების გადახდა და ზარალის საზღაური.

დამ. მე-3. უკეთუ რომელი ჩაიდენს ამას რომელი მიმართ, და მის წინააღმდეგ არ იქნება მტკიცე სამხილები, დაე გაიწმინდოს თავი 20 თანამოციცარის მეშვეობით, ოღონდ ისინი ორივე მხარის მიერ უნდა იქნენ არჩეულნი. თუ თანამოციცრებს ვერ იპოვნის, მაშინ დაე გამოიციადოს მდურით და გადაიხადოს 1200 დენარი, რაც შეადგენს 30 სოლიდს.

§ 5. უკეთუ ვინმე დაწვავს სხვის ღობეს ან მესერს, გადაიხდის 200 დენარს, რაც შეადგენს 15 სოლიდს.

XVII. ჭრილობათა შესახებ

§ 1. უკეთუ ვინმე განიზრახავს მოკლას სხვა, მაგრამ ააცდენს დარტყმას და მხილებული იქნება, გადაიხდის 2500 დენარს, რაც შეადგენს 63 სოლიდს.

§ 2. უკეთუ ვინმე განიზრახავს განგმიროს სხვა მოწამლული ასრით, მაგრამ ააცდენს და მხილებული იქნება, გადაიხდის 2500 დენარს, რაც შეადგენს 63 სოლიდს.

§ 3. უკეთუ ვინმე ზაფში დაჭრავს სხვას ისე, რომ გამოჩნდება ტვინი და ამოეარდება თვით ტვინის ზემოთ მდებარე 3 ძვალი, გადაიხდის 1200 დენარს, რაც შეადგენს 30 სოლიდს.

§ 4. უკეთუ ვინმე დაჭრილი იქნება ნეკნებს შუა ან მუცელში, ისე რომ გაჩნდება ჭრილობა და შეადწვევს შიგნეულობამდე, (დამნაშავე) გადაიხდის 1200 დენარს, რაც შეადგენს 30 სოლიდს, გარდა 5 სოლიდისა სამკურნალოდ.

დამ. 1-ლი. ხოლო თუ ჭრილობა ტკვილს იწვევს და არ შუშდება, გადაიხდის $62\frac{1}{2}$ სოლიდს და სამკურნალოდ 9 სოლიდს.

§ 5. უკეთუ ვინმე ისე დაჭრის ადამიანს, რომ სისხლი დაიღვრება მიწაზე და მხილებული იქნება, გადაიხდის 600 დენარს, რაც შეადგენს 15 სოლიდს.

§ 6. უკეთუ რომელიმე თავისუფალი ადამიანი ჯოხს დაარტყამს თავისუფალ ადამიანს, მაგრამ ისე, რომ სისხლი არ წასკდება, მაშინ 3 დარტყმამდე თვითვე დარტყმაში გადახდება 120 დენარი, რაც შეადგენს 3 სოლიდს.

§ 7. ხოლო თუ სისხლი წასკდება, გადახდება იმდენივე, რამდენიც დადგენილია რკინით ჭრილობის მიყენებისათვის.

§ 8. უკეთუ ვინმე გაარტყამს სხვას შეკუმშულ მუშტს, გადაიხდის 360 დენარს, რაც შეადგენს 9 სოლიდს, ასე რომ თვითვე დარტყმაში იგი იხდის 3 სოლიდს.

§ 9. უკეთუ ვინმე შეეცდება გაძარცვოს სხვა გზაში, ხოლო ის თავს უშველის გაქცევით, (ბრალეულს), მხილების შემთხვევაში, გადახდება 2500 დენარი, რაც შეადგენს 63 სოლიდს.

დამ. მე-2. ხოლო თუ მას გაძარცვავს, გადაიხდის 30 სოლიდს.

XVIII. იმის შესახებ, ვინმე ვინც წინაშე ბრალს დასდებს უდანაშაულო ადამიანს

§ 1. უკეთუ ვინმე მეფის წინაშე ბრალს დასდებს უდანაშაულო ადამიანს ამ უკანასკნელის დაუსწრებლად, გადაიხდის 2500 დენარს, რაც შეადგენს 63 სოლიდს.

დამ. 1-ლი. ხოლო თუ მას ისეთ ბრალს დასწამებს, რომლისთვისაც, ბრალდების დადასტურების შემთხვევაში, სიკვდილით დასჯაა დაწესებული, ბრალმდებელს გადახდება 8000 დენარი, რაც შეადგენს 200 სოლიდს.

XIX. ჯალბადობის შესახებ

§ 1. უკეთუ ვინმე სხვას დააღვეინებს საწამლავს, მისი მოკვლის მიზნით, გადაიხდის 200 სოლიდს.

§ 2. უკეთუ ვინმე მოაჯადოებს სხვას და მოაჯადოებული გადაარჩება, დანაშაულის ჩამდენს, რომლის შესახებაც დამტკიცდება, რომ მან ჩაიდინა ეს დანაშაული, გადახდება 2500 დენარი, რაც შეადგენს 63 სოლიდს.

დამ. 1-ლი. უკეთუ ვინმე მოაჯადოებს სხვას ან (სხეულის) რომელიმე ადგილას დაადებს სახვევს¹, გადაიხდის $63\frac{1}{2}$ სოლიდს.

დამ. მე-2. უკეთუ რომელიმე ქალი მოაჯადოებს სხვა ქალს ისე, რომ მას შვილები არ ეყოლება, გადაიხდის $62\frac{1}{2}$ სოლიდს.

¹ ჰეროდოტის ტექსტის მიხედვით, იხმარება სიტყვა ligatura, რომელსაც ვრაციანსკი თარგმნის ძველი რუსული სიტყვით „навязь“, („навяз“). ჩვენ ვთარგმნით „სახვევი“ (თილისმა).

**XX. იმის შესახებ. ვინც თავისუფალ ქალს ხელს სჯამებს ხელში.
ან მაჯაში ან თითში**

§ 1. უკეთუ რომელიმე თავისუფალი ადამიანი თავისუფალ ქალს ხელს სტაცებს ხელში, მაჯაში ან თითში და მხილებული იქნება, გადაიხდის 15 სოლიდს.

§ 2. უკეთუ ხელს მოუჭერს მაჯას, გადაიხდის 39 სოლიდს.

§ 3. უკეთუ ხელს სტაცებს იდაყვის ზემოთ, გადაიხდის 1400 დენარს, რაც შეადგენს 35 სოლიდს.

დამ. 1-ლი. უკეთუ ვინმე მკერდს დაუზიანებს ქალს, გადაიხდის 45 სოლიდს.

XXI. ნავის მოპარვის შესახებ

§ 1. უკეთუ ვინმე პატრონის თანხმობის გარეშე წაიღებს სხვის ნავს და ამ ნავით გაივლის, გადაიხდის 120 დენარს, რაც შეადგენს 3 სოლიდს.

§ 2. უკეთუ იგი მოიპარავს ამ ნავს და მიუსწრებენ, გადაიხდის 600 დენარს, რაც შეადგენს 15 სოლიდს.

§ 3. უკეთუ ვინმე მოიპარავს ნავს დაკეტილიდან, გადაიხდის 1400 დენარს, რაც შეადგენს 35 სოლიდს.

§ 4. უკეთუ ვინმე დაკეტილიდან მოიპარავს ნავს, რომელიც იქ შესაკეთებლად არის მოთავსებული, გადაიხდის 1800 დენარს, რაც შეადგენს 45 სოლიდს.

XXII. წისქვილში ჩაღანილი ქურდობის შესახებ

§ 1. უკეთუ რომელიმე თავისუფალი ადამიანი წისქვილში მოიპარავს სხვის მარცვლეულს და მხილებული იქნება, მეწისქვილეს გადაუხდის 600 დენარს, რაც შეადგენს 15 სოლიდს. მარცვლეულის პატრონს კი (ქურდი) გადაუხდის კიდევ 15 სოლიდს.

დამ. 1-ლი. თუ იგი იქ მოიპარავს რკინის ნაწილებს, გადაიხდის 45 სოლიდს.

დამ. მე-2. უკეთუ ვინმე დაანგრევს წისქვილის ჯებირს, გადაიხდის 15 სოლიდს.

XXIII. სხვისი სხანით თვითნებურად სარგებლობის შესახებ

§ 1. უკეთუ ვინმე შეაჯღებდა სხვის ცხენს პატრონის ნებადაურთველად, გადაიხდის 1200 დენარს, რაც შეადგენს 30 სოლიდს.

XXIV. მხიარელობათა მოკლის შესახებ

§ 1. უკეთუ ვინმე მოკლავს 10 წლამდე ასაკის ბიჭს და მხილებული იქნება, გადაიხდის 24000 დენარს, რაც შეადგენს 600 სოლიდს.

§ 2. უკეთუ ვინმე მოკლავს გრძელთმიან ბიჭს, გადაიხდის 600 სოლიდს.

დამ. 1-ლი. უკეთუ ვინმე მოკლავს თავისუფალ ქალს და მხილებული იქნება, გადაიხდის 24000 დენარს, რაც შეადგენს 600 სოლიდს.

§ 3. უკეთუ ვინმე სცემს თავისუფალ ორსულ ქალს და ეს უკანასკნელი მოკვდება, გადაიხდის 28000 დენარს, რაც შეადგენს 700 სოლიდს.

§ 4. უკეთუ ვინმე მოკლავს ბავშვს დედის მუცელში უფრო ადრე, ვიდრე იგი სახელს მიიღებდეს, და ეს დამტკიცდება, გადაიხდის 4000 დენარს, რაც შეადგენს 100 სოლიდს.

დამ. მე-2. უკეთუ ვინმე გაბედავს თავისუფალი ჯერ კიდევ გაუკრეჭავი ბიჭის გაკრეჭას მისი მშობლების თანხმობის გარეშე და მხილებული იქნება, გადაიხდის 1800 დენარს, რაც შეადგენს 45 სოლიდს.

დამ. მე-3. უკეთუ ვინმე გაბედავს თავისუფალი ქალიშვილის გაკრეჭას მშობელთა თანხმობის გარეშე და მხილებული იქნება, გადაიხდის 1800 დენარს, რაც შეადგენს 45 სოლიდს.

§ 5. უკეთუ ბიჭი, 12 წლამდე ასაკის, ჩაიდენს რაიმე დანაშაულს, მას არავითარი „fretus“-ი არ გადახდება.

დამ. მე-4. უკეთუ ვინმე მოკლავს თავისუფალ ქალიშვილს, გადაიხდის 300 სოლიდს.

§ 6. უკეთუ ვინმე მოკლავს თავისუფალ ქალს მას შემდეგ, რაც მას შვილები ეყოლა, გადაიხდის 24000 დენარს, რაც შეადგენს 600 სოლიდს.

§ 7. უკეთუ ვინმე მოკლავს (თავისუფალ ქალს) მას შემდეგ რაც მას უკვე აღარ შეიძლება შვილები ეყოლოს, გადაიხდის 8000 დენარს, რაც შეადგენს 200 სოლიდს.

XXV. მონა-ქალის მკვლელობის შესახებ

§ 1. უკეთუ ვინმე ძალადობას ჩაიდენს თავისუფალი ქალიშვილის მიმართ, გადაიხდის 63 სოლიდს.

§ 2. უკეთუ ვინმეს კავშირი ექნება თავისუფალ ქალიშვილთან ამ უკანასკნელის ნება-სურვილით, ურთიერთი შეთანხმებით, გადახდება 1800 დენარი, რაც შეადგენს 45 სოლიდს.

§ 3. უკეთუ რომელიმე თავისუფალ ადამიანს კავშირი ექნება სხვის მონა-ქალთან და მხილებული იქნება, გადახდება 600 დენარი მონა-ქალის ბატონის სასარგებლოდ, რაც შეადგენს 15 სოლიდს.

§ 4. უკეთუ ვინმეს კავშირი ექნება მეფის მონა-ქალთან, გადახდება 1200 დენარი, რაც შეადგენს 30 სოლიდს.

§ 5. უკეთუ თავისუფალი ადამიანი აშკარად დაქორწინდება სხვის მონა ქალზე, იგი თვითონ მასთან ერთად მონა უნდა გახდეს.

§ 6. ასევე, თავისუფალი ქალი, თუ დაქორწინდება სხვის მონაზე, მონა-ქალი უნდა გახდეს.

§ 7. უკეთუ მონა ძალადობას იხმარს სხვისი მონა-ქალის მიმართ და ამ დანაშაულის გამო მონა-ქალი მოკვდება, მონამ ან უნდა გადაუხადოს მონა-ქალის ბატონს 240 დენარი, რაც შეადგენს 6 სოლიდს, ანდა იგი დასაჭურისებული უნდა იქნას. მონის ბატონმა კი უნდა აანაზღაუროს მონა-ქალის ღირებულება.

§ 8. ხოლო თუ მონა-ქალი ამის შემდეგ ცოცხალი დარჩება, მონას ან 300-ჯერ უნდა დაარტყან მათრახი, ან მან უნდა გადაუხადოს (მონა-ქალის) ბატონს 120 დენარი, რაც შეადგენს 3 სოლიდს.

§ 9. უკეთუ მონა წაიყვანს სხვის მონა-ქალს ამ უკანასკნელის ნების წინააღმდეგ, მან უნდა გადაუხადოს მონა-ქალის ბატონს 120 დენარი, რაც შეადგენს 3 სოლიდს.

XXVI. გააზაგაჲულთა შესახებ

§ 1. უკეთუ რომელიმე თავისუფალი ადამიანი მეფის დასწრებით დენარის საშუალებით გაააზატებს სხვის ლიტს, ამ უკანასკნელის ბატონის თანხმობის გარეშე და მხილებული იქნება, გადაიხდის 4000 დენარს, რად შეადგენს 100 სოლიდს. ლიტის ნივთები უნდა დაუბრუნდეს მის კანონიერ ბატონს.

§ 2. უკეთუ ვინმე მეფის დასწრებით დენარის საშუალებით გაააზატებს სხვის მონას და მხილებული იქნება, გადაიხდის ბატონის სასარგებლოდ მონის ღირებულებას და, გარდა ამისა, 35 სოლიდს.

XXVII. სხვადასხვა ქურდობის შესახებ

§ 1. უკეთუ ვინმე სხვისი ღორის კოლტის წინამძღოლიდან მოიპარავს ზანზალაკს და მხილებული იქნება, გადაიხდის 600 დენარს, რაც შეადგენს 15 სოლიდს; ამაში არ შედის მოტაცებულის ღირებულება და ზარალის საზღაური.

§ 2. უკეთუ ამგვარი ქურდობა ჩადენილი იქნება წვრილფეხა პირუტყვის ჯოგიდან, (ბრალეულს) გადახდება 120 დენარი, რაც შეადგენს 3 სოლიდს.

დამ. 1-ლი. უკეთუ ვინმე მოიპარავს ეყვანს ცხენიდან, გადაიხდის 600 დენარს, რაც შეადგენს 15 სოლიდს.

§ 3. უკეთუ ვინმე მოიპარავს ცხენიდან ბორკილებს და მხილებული იქნება, გადაიხდის 120 დენარს, რაც შეადგენს 3 სოლიდს; ამაში არ შედის მოტაცებულის ღირებულება და ზარალის საზღაური.

§ 4. ხოლო თუ ეს ცხენი ამის გამო დაიკარგება, ბრალეულმა უნდა აანაზღაუროს მისი ღირებულება.

§ 5. უკეთუ ვინმე ქურდულად შეუშვებს თავის პირუტყვს (გამოძოვების მიზნით) სხვის ყანაში და თუ მას წაუსწრებენ (დანაშაულის ადგილას), გადახდება 600 დენარი, რაც შეადგენს 15 სოლიდს.

დამ. მე-2. უკეთუ ვინმე ქურდულად მომკის სხვის ყანას და თუ მას წაუსწრებენ (დანაშაულის ადგილას), გადახდება 600 დენარი, რაც შეადგენს 15 სოლიდს.

§ 6. უკეთუ ვინმე შეიპარება სხვის ბაღში ქურდობის მიზნით, გადაიხდის 600 დენარს, რაც შეადგენს 15 სოლიდს; ამაში არ შედის მოტაცებულის ღირებულება და ზარალის საზღაური.

დამ. მე-3. უკეთუ ვინმე მოიპარავს ვაშლის ან მსხლის ნამყენს, გადაიხდის 3 სოლიდს.

დამ. მე-4. ხოლო თუ ეს ხეები ბაღში იდგა, გადაიხდის 600 დენარს, რაც შეადგენს 15 სოლიდს.

დამ. მე-5. უკეთუ ვინმე ამოგლეჯს ვაშლს ან მსხალს, გადაიხდის 120 დენარს, რაც შეადგენს 3 სოლიდს.

დამ. მე-6. თუ ეს ხეები ბაღში იდგა, გადაიხდის 15 სოლიდს.

§ 7. უკეთუ ვინმე ქურდობის მიზნით შეიპარება მინდორში, სადაც დარგულია თაღვამი, პარკი, მუხუდო ან ოსპი, გადაიხდის 120 დენარს, რაც შეადგენს 3 სოლიდს.

§ 8. უკეთუ ვინმე სხვის მინდვრიდან მოიტაცებს სელს და წაიღებს ცხენით ან ფორანით, გადაიხდის 600 დენარს, რაც შეადგენს 15 სოლიდს; ამაში არ შედის მოტაცებულის ღირებულება და ზარალის საზღაური.

§ 9. მაგრამ თუ (ქურდი) წაიღებს იმდენს, რამდენის წაღებაც თავისი ზურგით შეუძლია, გადაიხდის 120 დენარს, რაც შეადგენს 3 სოლიდს.

დამ. მე-7. უკეთუ ვინმე სხვის მინდორში მოსჭრის ხეს, გადაიხდის 30 სოლიდს.

§ 10. უკეთუ ვინმე გათიბავს სხვის მღელოს, დაკარგავს თავის ნაშრომს.

§ 11. და თუ, გარდა ამისა, წაიღებს თივას თავის სახლში და იქ დააზვინებს, გადაიხდის 1800 დენარს, რაც შეადგენს 45 სოლიდს; ამაში არ შედის მოტაცებულის ღირებულება და ზარალის საზღაური.

§ 12. უკეთუ ვინმე მოიპარავს (თივას მხოლოდ) იმდენს, რამდენის წაღებასაც შესძლებს ზურგით, გადაიხდის 3 სოლიდს.

§ 13. უკეთუ ვინმე შევა სხვის ვენახში ყურძნის მოსაპარავად და მიუსწრებენ (დანაშაულის აღგილას), გადაიხდის 600 დენარს, რაც შეადგენს 15 სოლიდს.

§ 14. ხოლო თუ (ქურდი), გარდა ამისა, წაიღებს ყურძენს თავის სახლში და იქ შეინახავს, გადაიხდის 1800 დენარს, რაც შეადგენს 45 სოლიდს.

§ 15. ასეთივე წესი უნდა იქნეს დაცული სამკალის მიმართაც. დამ. მე-8. ხოლო თუ ვინმე დაამტკრევს სხვის ლობეს, გადაიხდის 15 სოლიდს.

§ 16. უკეთუ ვინმე დააზიანებს ან ცეცხლს წაუქიდებს ტყეში სხვის მასალას, გადაიხდის 600 დენარს, რაც შეადგენს 15 სოლიდს.

§ 17. უკეთუ ვინმე გაბედავს სხვისი მასალის ერთ მხარეზე გათლას, გადაიხდის 120 დენარს, რაც შეადგენს 3 სოლიდს.

§ 18. უკეთუ ვინმე სხვისი ტყიდან მოიპარავს სხვის შეშას, გადაიხდის 3 სოლიდს.

§ 19. უკეთუ ვინმე გაბედავს ერთ წელზე მეტი ხნის წინათ ნიშანდასმული ხის წაღებას, ამაში არავითარი ბრალი არ არის.

§ 20. უკეთუ ვინმე მდინარიდან მოიპარავს გველ-თევზების საჭერ ბადეს, გადაიხდის 1800 დენარს, რაც შეადგენს 45 სოლიდს.

§ 21. უკეთუ ვინმე მოიპარავს სათხვეველს, სამთვლიან ან ტომრისებურ ბადეს, გადაიხდის 600 დენარს, რაც შეადგენს 15 სოლიდს.

§ 22. უკეთუ ვინმე გაქურდავს დაუკეტავ ოთახს, გადაიხდის 600 დენარს, რაც შეადგენს 15 სოლიდს.

§ 23. უკეთუ ვინმე გაქურდავს დაკეტულ ოთახს, გადაიხდის 1800 დენარს, რაც შეადგენს 45 სოლიდს.

§ 24. უკეთუ ვინმე მოხნავს სხვის მინდორს პატრონის ნებადაურთველად, გადაიხდის 15 სოლიდს.

§ 25. ხოლო თუ ვინმე დასთესს მას, გადაიხდის 1800 დენარს, რაც შეადგენს 45 სოლიდს.

დამ. მე-9. უკეთუ ვინმე ხელს შეუშლის გუთნის გავლას სხვის მინდორში, ან გამოდევნის მხენელს, ან დაბრკოლებებს შეუქმნის მას, გადაიხდის 600 დენარს, რაც შეადგენს 15 სოლიდს.

§ 26. უკეთუ ვინმე დასდებს გარიგებას სხვის მონასთან ბატონის დაუკითხავად, გადაიხდის 600 დენარს, რაც შეადგენს 15 სოლიდს.

დამ. მე-10. უკეთუ ვინმე მოპარავს ქალს სამაჯურს, გადაიხდის 120 დენარს, რაც შეადგენს 3 სოლიდს.

დამ. მე-11. უკეთუ ვინმე წაიღებს სხვის ქობს¹ მისი პატრონის თანხმობის გარეშე, გადაიხდის 1200 დენარს, რაც შეადგენს 30 სოლიდს.

XXVIII. ნაპაჩუგლოვის შესახებ

§ 1. უკეთუ ვინმე მოისყიდის სხვას ქურდობის ჩასადენად და მხილებული იქნება, გადაიხდის 2500 დენარს, რაც შეადგენს 63 სოლიდს.

§ 2. უკეთუ ვინმე, ქურდობის ჩასადენად წაქეზებული, მონდომებს მოკლას ადამიანი და მხილებული იქნება, გადაიხდის 2500 დენარს, რაც შეადგენს 62 სოლიდს.

§ 3. ხოლო თუ მოსყიდვა მე-3 პირს დაეკისრება და ის (მე-3 პირი) თავისუფალი ადამიანი აღმოჩნდება, (ასეთ შემთხვევაში) მიმცემსაც, მიმღებსაც და (დანაშაულის) შემსრულებელსაც, თვითეულ მათგანს ცალ-ცალკე, გადაიხდება 60 სოლიდი.

¹ აქ, ალბათ, ლაპარაკია კარავზე ან ფაცხაზე, რომელიც ცუდი ამინდის დროს გამოყენებული იყო მწყემსების ან ტყის მცველების მიერ როგორც დროებითი თავშესაფარი. ამიტომ კომპოზიციაც შედარებით მცირეა (30 სოლიდი).

XXIX. დასახიჩრების შესახებ

§ 1. უკეთუ ვინმე სხვას დაუსახიჩრებს ხელს ან ფეხს, თვალს დათხრის ან ცხვირს მოჰკვეთს, გადაიხდის 4000 დენარს, რაც შეადგენს 100 სოლიდს.

§ 2. ხოლო თუ დასახიჩრებული ხელი წინანდელ ადგილზე ჰკიდია, (ბრალეულს) გადახდება 2500 დენარი, რაც შეადგენს 63 სოლიდს.

დამ. 1-ლი. ხოლო თუ ეს ხელი მოკვეთილი იქნება, გადახდება 2500 დენარი, რაც შეადგენს $62\frac{1}{2}$ სოლიდს.

დამ. მე-2. ხოლო თუ ფეხი იქნება დაზიანებული და თავის ადგილზე დარჩება დასახიჩრებული, დამნაშავეს გადახდება 1800 დენარი, რაც შეადგენს 45 სოლიდს.

დამ. მე-3. უკეთუ სავსებით მოჰკვეთს ფეხს, გადახდება 2500 დენარი, რაც შეადგენს $62\frac{1}{2}$ სოლიდს.

დამ. მე-4. უკეთუ ვინმე თვალს დათხრის სხვას, გადახდება $62\frac{1}{2}$ სოლიდი.

დამ. მე-5. უკეთუ მოჰკვეთს ცხვირს, გადახდება 1800 დენარი, რაც შეადგენს 45 სოლიდს.

დამ. მე-6. უკეთუ მოჰკვეთს ყურს, გადახდება 15 სოლიდი.

§ 3. უკეთუ ვინმე მოჰკვეთს ხელის თუ ფეხის დიდ თითს, გადახდება 2000 დენარი, რაც შეადგენს 50 სოლიდს.

§ 4. უკეთუ ეს დასახიჩრებული თითი წინანდელ ადგილზე დარჩება, გადახდება 1200 დენარი, რაც შეადგენს 30 სოლიდს.

§ 5. უკეთუ ვინმე მოჰგლეჯს მეორე თითს, სახელდობრ იმ თითს, რომლითაც მშვილდს მოზიდავენ, გადახდება 1400 დენარი, რაც შეადგენს 35 სოლიდს.

დამ. მე-7. თუ ვინმე მოჰგლეჯს შემდეგ თითს, გადახდება 600 დენარი, რაც შეადგენს 15 სოლიდს.

დამ. მე-8. თუ მოგლეჯილი იქნება მე-4 თითი, (ბრალეულს) გადახდება 9 სოლიდი.

დამ. მე-9. ხოლო თუ ვინმე მოჰგლეჯს ნეკს, გადახდება 600 დენარი, რაც შეადგენს 15 სოლიდს.

§ 6. უკეთუ ვინმე მოჰკვეთს შემდეგ სამ თითს ერთი დარტყმით, გადახდება 50 სოლიდი.

§ 7. უკეთუ მოჰკვეთს ორს (თითს), გადახდება 35 სოლიდი.

§ 8. ხოლო თუ მოჰკვეთს ერთს, გადახდება 30 სოლიდი.

დამ. მე-10. უკეთუ (ვინმე) სხვას დაუზიანებს ენას ისე, რომ იგი ვერ შესძლებს ლაპარაკს, გადახდება 100 სოლიდი.

დამ. მე-11. უკეთუ ვინმე სხვას კბილს ჩაუმტვრევს, გადახდება 15 სოლიდი.

§ 9. უკეთუ ვინმე დაასაჭურისებს თავისუფალ ადამიანს, გადახდება 8000 დენარი, რაც შეადგენს 200 სოლიდს.

დამ. მე-12. ხოლო თუ სავსებით მოჰგლეჯს, გადახდება 8000 დენარი, რაც შეადგენს 200 სოლიდს.

XXX. მუჩაყსეოვის შესახებ

§ 1. უკეთუ ვინმე სხვას მახინჯს უწოდებს, გადახდება 3 სოლიდი.

§ 2. უკეთუ ვინმე სხვას ბინძურს უწოდებს, გადახდება 120 დენარი, რაც შეადგენს 3 სოლიდს.

§ 3. უკეთუ ვინმე — მამაკაცი თუ ქალი — თავისუფალ ქალს მეძავს უწოდებს და ამას ვერ დაამტკიცებს, გადახდება 1800 დენარი, რაც შეადგენს 45 სოლიდს.

§ 4. უკეთუ ვინმე სხვას მგელს უწოდებს, გადახდება 3 სოლიდი.

§ 5. უკეთუ ვინმე სხვას კურდღელს უწოდებს, გადახდება 3 სოლიდი.

§ 6. უკეთუ ვინმე სხვას ბრალს დასდებს იმაში, რომ მან (ბრძოლაში) თავისი ფარი დააგდო და ვერ შესძლებს ამის დამტკიცებას, გადახდება 120 დენარი, რაც შეადგენს 3 სოლიდს.

§ 7. უკეთუ ვინმე სხვას დამბეზღებელს ან მატყუარას უწოდებს და ვერ შესძლებს ამის დამტკიცებას, გადახდება 600 დენარი, რაც შეადგენს 15 სოლიდს.

დამ. 1-ლი. უკეთუ ვინმე თავის ამხანაგს თავსაბურავს ჩამოუგდებს, გადახდება 120 დენარი, რაც შეადგენს 3 სოლიდს ან დაუბრუნებს მას იმ გვარსავე, ან 12-ით¹ დაიფიცებს რომ დაუბრუნებს მას ამგვარს.

¹ იგულისხმება 12 თანამოფიცარი.

XXXI. გზის შეკრის შესახებ

§ 3. უკეთუ ვინმე გზიდან გადააგდებს ან გადასჩეხს თავისუფალ ადამიანს, გადახდება 600 დენარი, რაც შეადგენს 15 სოლიდს.

§ 2. უკეთუ ვინმე გზიდან გადააგდებს ან გადასჩეხს თავისუფალ ქალს, გადახდება 1800 დენარი, რაც შეადგენს 45 სოლიდს.

დამ. 1-ლი. უკეთუ ვინმე გზაში თავს დაესხმის სხვას და გაძარცვავს, გადახდება 1200 დენარი, რაც შეადგენს 30 სოლიდს.

დამ. მე-2. თუ ვინმე წისქვილის გზას შეჭკრავს, გადახდება 600 დენარი, რაც შეადგენს 15 სოლიდს.

XXXII. თავისუფალი ადამიანის შეპირების შესახებ

§ 1. უკეთუ ვინმე უდანაშაულოდ შეპირკავს თავისუფალ ადამიანს, გადახდება 1200 დენარი, რაც შეადგენს 30 სოლიდს.

§ 2. ხოლო თუ ვინმე ამ შეპირკილს სადმე წაიყვანს, გადახდება 1800 დენარი, რაც შეადგენს 45 სოლიდს.

დამ. 1-ლი. უკეთუ რომელი უდანაშაულოდ შეპირკავს ფრანკს, გადახდება 1200 დენარი, რაც შეადგენს 30 სოლიდს.

დამ. მე-2. ხოლო თუ ფრანკი უდანაშაულოდ შეპირკავს რომაელს, გადახდება 600 დენარი, რაც შეადგენს 15 სოლიდს.

დამ. მე-3. უკეთუ ვინმე კადნიერებით ან ძალით წაართმევს გრაფს შეპირკილ ადამიანს, უნდა გადაიხადოს თავისი სიცოცხლის ფასი.

XXXIII. ნანადირკის ქურდობის შესახებ

§ 1. უკეთუ ვინმე მოიპარავს სხვადასხვაგვარ ნანადირკეს და დაშალავს, გადახდება 1800 დენარი, რაც შეადგენს 45 სოლიდს; ამაში არ შედის მოტაცებულის ღირებულება და ზარალის საზღაურის კანონი დაცული უნდა იქნას ნადირობისა და თევზაობის მიმართ.

§ 2. უკეთუ ვინმე მოიპარავს ან მოკლავს დადაღულ შინაურ ირემს, რომელიც გაწრთენილია სანადიროდ, და მოწმეები დაამტკიცებენ, რომ პატრონს იგი სანადიროდ ჰყავს, ან რომ მისი დახმარებით მან მოკლა 2 თუ 3 ნადირი, (ქურდს) გადახდება 1800 დენარი, რაც შეადგენს 45 სოლიდს.

§ 3. ხოლო თუ ვინმე მოიპარავს ან მოკლავს ნადირობისათვის გაუწვრთნელ შინაურ ირემს, გადახდება 1400 დენარი, რაც შეადგენს 35 სოლიდს.

დამ. 1-ლი. უკეთუ ვინმე (დაიჭერს), სხვის ირემს, რომელიც ძაღლებმა გამორეკეს და მოამწყვდიეს, გადახდება 15 სოლიდი.

დამ. მე-2. უკეთუ ვინმე მოკლავს მომწყვდიულ ტახს, რომელიც (სხვისმა) ძაღლებმა გამორეკეს, გადახდება 600 დენარი, რაც შეადგენს 15 სოლიდს.

XXXIV. ლობის მოპარვის შესახებ

§ 1. უკეთუ ვინმე მოსპრის 2 ან 3 წნელს, რომლებითაც ზემოთ გადაბმული და შემაგრებულია ლობე, ან დაამტვრევს თუ ამოგლეჯს 3 სარს, გადახდება 600 დენარი, რაც შეადგენს 15 სოლიდს.

დამ. 1-ლი. უკეთუ ვინმე დაწვავს სხვის ლობეს, გადახდება 15 სოლიდი.

§ 2. უკეთუ ვინმე სხვის, უკვე აჯეჯილებულ ყანაში გაატარებს ფარცხს, ან უგზოდ გაივლის იქ ფორანიოთ, გადახდება 120 დენარი, რაც შეადგენს 3 სოლიდს.

§ 3. უკეთუ ვინმე გაივლის სხვის, უკვე ამოთავთავებულ ყანაში უგზოდ და უბილიკოდ, გადახდება 600 დენარი, რაც შეადგენს 15 სოლიდს.

§ 4. უკეთუ ვინმე ბოროტი განზრახვით დასდებს სხვის ეზოში, ან სახლში, ან რომელიმე სხვა ადგილას მოპარულ ნივთს, პატრონის უცნობლად, და იქ მოუსწრებენ, გადახდება 2500 დენარი, რაც შეადგენს 63 სოლიდს.

დამ. მე-2. უკეთუ ვინმე, ქურდობის მიზნით, შევა სხვის ეზოში მზის ჩასვლის შემდეგ და იქ მოუსწრებენ, გადახდება 1800 დენარი, რაც შეადგენს 45 სოლიდს.

XXXV. მონის მკვლელობისა ან ბაძარცვის შესახებ

§ 1. უკეთუ რომელიმე მონა მოკლავს მონას, ბატონებმა გაიყონ მკვლელი ერთმანეთში¹.

§ 2. უკეთუ რომელიმე თავისუფალი ადამიანი გაძარცვავს სხვის მონას და მხილებული იქნება იმაში, რომ მან მონას 40 დენარზე მეტად ღირებულების წაართვა, გადახდება 1200 დენარი, რაც შეადგენს 30 სოლიდს.

¹ იგულისხმება არა მკვლელის სხეულის, არამედ მისი შრომის (სამუშაო ძალის) გაცოფა.

§ 3. უკეთუ გაძარცვისას წაღებული 40 დენარზე ნაკლები ღირდა, გადახდება 600 დენარი, რაც შეადგენს 15 სოლიდს.

დამ. 1-ლი. უკეთუ ვინმე სცემს სხვის მონას და 40 ლამით წაართმევს მას შრომისუნარიანობას, გადახდება 1¹/₃ სოლიდი.

§ 4. უკეთუ ვინმე თავისუფალი ადამიანი გაძარცვავს სხვის ლიტს და მხილებული იქნება, გადახდება 1400 დენარი, რაც შეადგენს 35 სოლიდს.

დამ. მე-2. უკეთუ ვინმე ქურდულად გაძარცვავს სხვისი მონის გვამს და წაიღებს მისგან 40 დენარისაზე მეტს, გადახდება 1400 დენარი, რაც შეადგენს 35 სოლიდს.

დამ. მე-3. უკეთუ გაძარცვისას წაღებული 40 დენარზე ნაკლები ღირდა, გადახდება 600 დენარი, რაც შეადგენს 15 სოლიდს.

§ 5. უკეთუ სხვისი მონა ან ლიტი მოკლავს თავისუფალ ადამიანს, თვითონ მკვლეელი გადაეცემა მოკლულის ნათესავეებს კომპოზიციის ნახევრის სახით, ხოლო მონის ბატონი იხდის კომპოზიციის მეორე ნახევარს.

§ 6. უკეთუ ვინმე მოიპარავს ან მოკლავს შინამსახურს, ან მჭედელს, ან ოქრომჭედელს, ან მეღორეს, ან მევენახეს, ან მეჯინიბეს და მხილებული იქნება, გადახდება 1200 დენარი, რაც შეადგენს 30 სოლიდს.

§ 7. როგორც „fretus“-ი და „faidus“-ი, [გადახდილი იქნება 1800 დენარი, რაც შეადგენს 45 სოლიდს; ამაში არ შედის ღირებულება და ზარალის საზღაური; სულ კი 75 სოლიდი.

XXXVI. ოთხუხა სხოველჲ. უკეთუ იგი აღაჰიანს მოკლავს

1. უკეთუ ვინმე მოკლული იქნება რომელიმე შინაური ოთხუხა ცხოველის მიერ და ამას დაამტკიცებენ მოწმეები, ცხოველის ბატონმა უნდა გადაიხადოს კომპოზიციის ნახევარი. თვითონ ცხოველი კი გადადის მოსარჩელის ხელში კომპოზიციის მეორე ნახევრის ასანაზღაურებლად.

XXXVII. კვალდაკვალ ღვინის შესახებ

§ 1. უკეთუ ვინმე ქურდობის შედეგად დაკარგავს ხარს ან ცხენს, ან რომელიმე ცხოველს და კვალდაკვალ რომ დაედევნება, იპოვნის 3 ლამის განმავლობაში, ხოლო ის, ვისაც ცხოველი მიჰყავს, განაცხადებს, ვიყიდე ან სანაცვლოდ მივიღეო, კვალდაკვალ

მდევენელმა მესამე პირთა საშუალებით უნდა დაამტკიცოს, რომ (ეს) ნივთები მისი საკუთრებაა. უკეთუ თავის ნივთების მძებნელი იპოვნის მათ უკვე 3 ლამის გავლის შემდეგ, ხოლო ის კი, ვისთანაც ეს ნივთები მან იპოვა, განაცხადებს, ვიყიდე ან სანაცვლოდ მივიღეო, დაე თვითონ (მოპასუხემ) დაამტკიცოს ნივთებზე თავისი უფლება. ხოლო თუ პირუტყვის მძებნელი განაცხადებს, (ჩემად) ვცნობო, და იმ მეორის პროტესტის მიუხედავად, არ მოისურვებს წარმოადგინოს დამამტკიცებელი საბუთები მესამე პირთა საშუალებით, არც დანიშნოს, კანონის თანახმად, სასამართლო გარჩევის დღე, და მხილებული იქნება (ცხოველის) ძალდატანებით ჩამოართმევაში, გადახდება 1200 დენარი, რაც შეადგენს 30 სოლიდს.

XXXVIII. სხანის ქურდობის შესახებ

§ 1. უკეთუ ვინმე მოიპარავს შესაბმელ ცხენს და მხილებული იქნება, გადახდება 1800 დენარი, რაც შეადგენს 45 სოლიდს; ამაში არ შედის მოტაცებულის ღირებულება და ზარალის საზღაური.

§ 2. უკეთუ ვინმე მოიპარავს ვაყას და მხილებული იქნება, გადახდება 1800 დენარი, რაც შეადგენს 45 სოლიდს.

დამ. 1-ლი. უკეთუ ვინმე მოიპარავს ლაფშას, გადახდება 30 სოლიდი, რაშიც არ შედის მოტაცებულის ღირებულება და ზარალის საზღაური.

დამ. მე 2. ხოლო თუ მოიპარავს მეფის ულაყს, გადახდება 90 სოლიდი, რაშიც არ შედის მოტაცებულის ღირებულება და ზარალის საზღაური.

§ 3. უკეთუ ვინმე მოიპარავს ვაყას 12 ფაშატისაგან შემდგარი მისი რემითურთ, გადახდება 2500 დენარი, რაც შეადგენს 63 სოლიდს; ამაში არ შედის მოტაცებულის ღირებულება და ზარალის საზღაური.

§ 4. ხოლო თუ რემა ნაკლები იქნება, სახელდობრ, 7 სულამდე, ვაყას ჩათვლით, (ქურდს) გადახდება 63 სოლიდი, რაშიც არ შედის მოტაცებულის ღირებულება და ზარალის საზღაური.

§ 5. უკეთუ ვინმე მოიპარავს მაკე ჭაკს და მხილებული იქნება, გადახდება 1200 დენარი, რაც შეადგენს 30 სოლიდს.

დამ. მე-3. უკეთუ ვინმე მოიპარავს ცხენს ან შესაბმელ პირუტყვს, გადახდება 35 სოლიდი, რაშიც არ შედის მოტაცებულის ღირებულება და ზარალის საზღაური.

დამ. მე-4. უკეთუ ვინმე დაყვერავს სხვის ვაყას პატრონის თანხმობის გარეშე, გადახდება 600 დენარი, რაც შეადგენს 15 სოლიდს; ხოლო თვითვეულ სასაპალნე ცხოველში გადაიხდის $\frac{1}{3}$ სოლიდს.

დამ. მე-5. უკეთუ ვინმე კადნიერებით ან მტრობით დაასახიჩრებს ან დააზიანებს სხვის ცხენებს თუ შესაბამელ პირუტყვს, გადახდება 1200 დენარი, რაც შეადგენს 30 სოლიდს.

§ 6. უკეთუ ვინმე მოიპარავს ერთი წლის კვიცს და მხილებული იქნება, გადახდება 600 დენარი, რაც შეადგენს 15 სოლიდს.

§ 7. ხოლო თუ მოიპარავს ძუძუმწოვარა კვიცს, გადახდება 120 დენარი, რაც შეადგენს 3 სოლიდს.

დამ. მე-6. უკეთუ ვინმე დაასახიჩრებს შესაბამელ პირუტყვს, გადახდება 30 სოლიდი.

დამ. მე-7. უკეთუ იგი (პირუტყვი) შემდეგ მოკვდება, გადახდება 1200 დენარი, რაც შეადგენს 30 სოლიდს.

§ 8. უკეთუ ვინმე სხვის ცხენს მოსჭრის კუდს, გადახდება 120 დენარი, რაც შეადგენს 3 სოლიდს.

დამ. მე-8. უკეთუ ვინმე ტყავს გააძრობს მკვდარ ცხენს პატრონის თანხმობის გარეშე, გადახდება 120 დენარი, რაც შეადგენს 3 სოლიდს¹.

XXXIX. მონასის მოგვასაჲს შესახებ

§ 1. უკეთუ ვინმე განიზრახავს სხვისი მონების გადაბირებას და მხილებული იქნება, გადახდება 600 დენარი, რაც შეადგენს 15 სოლიდს.

დამ. 1-ლი. უკეთუ სხვის მონას მოიტაცებენ და ზღვის გაღმა წაიყვანენ, და იქ იპოვნის მას მისი ბატონი, მონამ საჯარო კრებაზე უნდა დაასახელოს ის, ვინც იგი მოიპარა, და იქ უნდა შეაგროვოს მოწმენი.

დამ. მე-2. ხოლო თუ მონა კვლავ წაყვანილი იქნება ზღვის გაღმა, უნდა დაასახელოს (მომტაცებელი) ხელმეორე კრებაზე და იქ უნდა შეაგროვოს 3 უფლებათნარიანი მოწმე; მე-3 კრებაზეც იგივე უნდა მოხდეს, ამასთან 9 მოწმემ უნდა დაიფიცოს, რომ მათ გაიგონეს, თუ როგორ ასახელებდა მონა მომტაცებელს. ამის შემდეგ მომტა-

¹ შეადარე LXXV თავს, § 1.

ცებელს გადახდება 1400 დენარი, რაც შეადგენს 35 სოლიდს; ამაში არ შედის მოტაცებულის ღირებულება და ზარალის საზღაური.

დამ. მე 3. მონის მიერ ეს გათქმა დაიშვება მხოლოდ 3 მომტაცებლის მიმართ, მაგრამ იმგვარად, რომ მან (მონამ) ყოველთვის უნდა დაასახელოს ადამიანები და ვილები.

§ 2. უკეთუ ვინმე მოიტაცებს თავისუფალ ადამიანს და (მის წინააღმდეგ) არ აღმოჩნდება უტყუარი სამხილი, მან უნდა წარმოადგინოს თანამოფიცარნი, როგორც მკვლელობის დროს; თუ იგი ვერ იპოვნის თანამოფიცარებს, გადახდება 8000 დენარი, რაც შეადგენს 200 სოლიდს.

§ 3. უკეთუ მოიტაცებს რომაელს, გადახდება 63 სოლიდი.

XL. უკეთუ მონას ბრალს დასდებენ ქარლთაჲთ

§ 1. უკეთუ ჩადენილი იქნება დანაშაული, რომლისთვისაც თავისუფალმა ადამიანმა უნდა გადაიხადოს ჯარიმა 600 დენარი, ანუ 15 სოლიდი, დაე მონა გააწვინონ სკამზე და 120-ჯერ დაარტყან მას მათრახი.

§ 2. ხოლო თუ მონა, ვიდრე მას აწამებდნენ, გამოტყდება დანაშაულში, მონის ბატონმა, თუ მას ნებავეს, გაიღოს 120 დენარი, რაც შეადგენს 3 სოლიდს.

§ 3. ხოლო თუ ბრალი უფრო მეტი აღმოჩნდება, სახელდობრ ისეთი, რომლისთვისაც თავისუფალმა ადამიანმა 35 სოლიდი უნდა გადაიხადოს, მონას ამგვარადვე 120-ჯერ დაარტყან მათრახი.

§ 4. უკეთუ მონა არ გამოტყდება, ხოლო მწამებელი მოისურვებს კიდევ აწამოს იგი, ბატონის ნების წინააღმდეგაც კი, ასეთ შემთხვევაში მან ბატონს უნდა მისცეს საწინდარი მონისათვის. თუ მონას ამის შემდეგ კიდევ უფრო მეტად აწამებენ და ის გამოტყდება, მაშინ არ შეიძლება ვენდოთ მის ჩვენებას ბატონის წინააღმდეგ; და მწამებელმა თვითონ დაიტოვოს მონა; მონის ბატონმა კი, რომელმაც მისთვის საწინდარი მიიღო, დაიტოვოს თავის მონის ფასი საწინდრიდან; ხოლო თუ (მონა) გამოტყდება წინანდელი წამების დროს, ე. ი. ვიდრე მას 120-ჯერ დაარტყამდნენ, იგი დასაჭურისებული უნდა იქნას, ან 6 სოლიდს გადაიხდის. მონის ბატონმა კი უნდა აუნაზღაუროს მოსარჩელეს მოტაცებულის ღირებულება.

§ 5. უკეთუ მონა ბრალეული იქნება უფრო მძიმე დანაშაულში, სახელდობრ ისეთ დანაშაულში, რომლისთვისაც თავისუფალ ადამიანს შეიძლება მიესაჯოს 45 სოლიდის გადახდა, და მონა წამების შედეგად გამოტყდება, მას სიკვდილი მიესჯება.

§ 6. უკეთუ მონა მხილებული იქნება რაიმე დანაშაულში, მოსარჩელემ უნდა შეაგონოს მისი ბატონი, თუ უკანასკნელი იქ აღმოჩნდება, რომ მან გასცეს მონა სამართლიანი წამებისათვის; ამასთან მოსარჩელეს მზად უნდა ჰქონდეს წკეპლები, რომელთაგან თვითეთლის სიმსხო დაე უდრიდეს, სულ ცოტა, ნეკს და სკამი, რომელზეც უნდა დააწვიონ მონა (საწამებლად).

§ 7. უკეთუ მონის ბატონი გადასდებს წამებას, და თუ მონა იქვე იქნება, მოსარჩელემ დაე მაშინვე დაუნიშნოს 7 ღამის ვადა, რომლის განმავლობაშიც მან უნდა გასცეს მონა საწამებლად.

§ 8. უკეთუ 7 ღამის გავლის შემდეგაც ბატონი დააყოვნებს თავის მონის გაცემას, მოსარჩელემ უნდა დაუნიშნოს მას ახალი, ერთი კვირის ვადა, ასე რომ 14 ღამე გაივლის პირველი დაბარების დროიდან.

§ 9. უკეთუ 14 ღამის გავლის შემდეგაც ბატონი არ მოიხურვებს გასცეს თავისი მონა საწამებლად, იგი თვითონ კისრულობს მთელ ბრალსა და მთელ ჯარიმას; და არა როგორც მონა, არამედ როგორც თავისუფალი ადამიანი, რომელმაც ჩაიდინა ეს დანაშაული, თვითონ კისრულობს მთელ გადასახდელს კანონის მიხედვით.

§ 10. უკეთუ მონა, რომელსაც რაიმე ბრალად ედება, სხვაგან იქნება, მოსარჩელემ, კერძოდ, სამი მოწმის დასწრებით, არაერთხელ უნდა შეაგონოს ბატონს, რომ მან არა უგვიანეს 7 ღამისა წარმოადგინოს თავისი მონა დასასჯელად. ხოლო თუ 7 ღამის განმავლობაში იგი არ წარმოადგენს მონას, მოსარჩელემ, მოწმეთა დასწრებით, უნდა დაუნიშნოს მას ახალი კვირეული ვადა. ხოლო თუ ამ 7 ღამის შემდეგაც ბატონი არ წარმოადგენს თავის მონას, მოსარჩელემ მესამეჯერ უნდა დაუნიშნოს მას კვირეული ვადა, ასე რომ სულ გაივლის 21 ღამე. ხოლო თუ ამ ვადის შემდეგაც ბატონი თავს აარიდებს შებორკილი მონის მოყვანას საწამებლად, თუმცა მოსარჩელემ მას რამდენიმეჯერ გადაუდო ვადა, ასეთ შემთხვევაში მონის ბატონმა უნდა დააკმაყოფილოს მოსარჩელე ისე, როგორც ზემოთ არის ნათქვამი; სახელდობრ, გადაუხადოს მოსარჩელეს ისეთი ჯარიმა, როგორც უნდა გადახდეს მას არა როგორც

მონას, არამედ როგორც თავისუფალ ადამიანს, რომელმაც ამგვარი დანაშაული ჩაიდინა.

§ 11. უკეთუ მონა ქალს ბრალად ედება ისეთი დანაშაული, რომლისთვისაც მონა დასაჭურისებული უნდა იქნას, მას გადახდება 240 დენარი ჯარიმა, რაც შეადგენს 6 სოლიდს, თუ ბატონს ნებავეს მისთვის გადაიხადოს; წინააღმდეგ შემთხვევაში კი მას 144 ჯერ უნდა დაარტყან მათრახი.

დამ. 1-ლი. უკეთუ მონა ჩაიდენს ქურდობას თავისუფალ ადამიანთან ერთად, იგი, ღირებულებისა და ზარალის ანაზღაურების გარდა, მოტაცებულში იხდის ორმაგს, თავისუფალი ადამიანი კი ოთხმაგს.

დამ. § 2. უკეთუ ვინმე დასდებს ვარიგებას სხვის მონასთან, გადახდება 15 სოლიდი.

XLI. ჯგუფის მიერ ადამიანის მკვლელობის შესახებ

§ 1. უკეთუ ვინმე მოკლავს თავისუფალ ფრანკს ან ბარბაროსს, რომელიც სალიკური კანონის მიხედვით ცხოვრობს, და მხილებული იქნება, გადახდება 8000 დენარი, რაც შეადგენს 200 სოლიდს.

§ 2. უკეთუ მის გვამს ჩააგდებს ქაში ან წყალში, ან დაჭფარავს მას ტოტებით ან სხვა რაიმეთი, გადახდება 24000 დენარი, რაც შეადგენს 600 სოლიდს.

დამ. 1-ლი. უკეთუ არ დამალავს, გადახდება 8000 დენარი, რაც შეადგენს 200 სოლიდს.

§ 3. უკეთუ ვინმე მოკლავს მეფის სამსახურში მყოფ ადამიანს ანდა თავისუფალ ქალს, გადახდება 24000 დენარი, რაც შეადგენს 600 სოლიდს.

§ 4. უკეთუ ჩააგდებს მას წყალში, ან ქაში, ან რაიმეთი დაჭფარავს, გადახდება 72000 დენარი, რაც შეადგენს 1800 სოლიდს. ხოლო თუ იგი არ დაჭფარავს მას ჩალით, გადახდება 600 სოლიდი.

§ 5. უკეთუ ვინმე მოკლავს რომაელს — მეფის თანამესუფრეს, და მხილებული იქნება, გადახდება 12000 დენარი, რაც შეადგენს 300 სოლიდს.

§ 6. უკეთუ ვინმე მოკლავს რომაელ მიწათმფლობელს და არა მეფის თანამესუფრეს, გადახდება 4000 დენარი, რაც შეადგენს 100 სოლიდს.

§ 7. უკეთუ ვინმე მოკლავს მოხარკე რომაელს, გადახდება 63 სოლიდი.

§ 8. უკეთუ ვინმე გზაჯვარედინზე იპოვნის უხელო და უფეხო კაცს, რომელიც იქ დაუგდიათ მის მტრებს, და მოკლავს მას, და მხილებული იქნება, გადახდება 4000 დენარი, რაც შეადგენს 100 სოლიდს.

დამ. მე-2. უკეთუ ვინმე გაბედავს ჩამოხსნას კაცი სახრჩობელიდან მოსამართლის ნებადაურთველად, გადახდება 45 სოლიდი.

დამ. მე-3. უკეთუ ვინმე გაბედავს ჩამოხსნას კაცის თავი, რომელიც მის მტერს სარზე ჩამოუცვამს, მოსამართლის ან იპის ნებადაურთველად, ვინც იგი სარზე ჩამოაცვა, გადახდება 15 სოლიდი.

§ 9. უკეთუ ვინმე ჭაში ჩააგდებს თავისუფალ ადამიანს და თუ ეს უკანასკნელი იქიდან ცოცხალი ამოვა, დამნაშავეს გადახდება 4000 დენარი, რაც შეადგენს 100 სოლიდს.

დამ. მე-4. ხოლო თუ იგი მოკვდება ჭაში, გადახდება 24000 დენარი, რაც შეადგენს 600 სოლიდს.

დამ. მე-5. უკეთუ ის, ვინც გადაგდებული იქნება, (შემდეგ) მოკვდება, გადახდილი იქნება მთელი მისი სისხლი (ვერგელდი)¹.

დამ. მე-6. ამგვარად, ყოველი ადამიანი ანაზღაურებული უნდა იქნას მეტი თუ ნაკლები სისხლით (ვერგელდით).

დამ. მე-7. უკეთუ გადაგდებულმა თავი დააღწია სიკვდილის საფრთხეს, გადახდილი იქნება იმ სისხლის $\frac{1}{2}$, რომელიც უნდა გადაიხადონ მისი სიკვდილის შემთხვევაში, ვინაიდან სიკვდილის შემთხვევაში ყველა ანაზღაურებული უნდა იქნას სათანადო სისხლით.

დამ. მე-8. ამგვარადვე, თუ ვინმე სხვას გადასჩეხს ზღვაში, გადახდება 62 სოლიდი.

დამ. მე-9. უკეთუ ვინმე ტყუილუბრალოდ ბრალს დასდებს თავისუფალ ადამიანს რაიმე დანაშაულში, და ამისათვის ბრალდებული სიკვდილით დაისჯება, (ცილისმწამებელს) გადახდება 100 სოლიდი.

¹ სალიკური კანონის ლათინურ ტექსტში ნახმარია სიტყვა *feude*, რაც ნიშნავს ვერგელდს, ე. ი. კომპოზიციის იმ ნაწილს, რომელსაც იხდიდნენ დაზარალებულის სასარგებლოდ. ვერგელდის ქართული შესატყვისი არის „სისხლი“ (იხ. ვახტანგ VI კანონები).

XLII. ჯგუფის მიერ ადამიანის მკვლელობის შესახებ

§ 1. უკეთუ ვინმე შეაგროვებს ჯგუფს, თავს დაესხმის თავისუფალ ადამიანს მის სახლში და იქ მოკლავს მას, თუ მოკლული მეფის სამსახურში იყო, (მკვლელს) გადახდება 72000 დენარი, რაც შეადგენს 1800 სოლიდს.

§ 2. ხოლო თუ მოკლული არ იყო მეფის სამსახურში, (მკვლელს) გადახდება 24000 დენარი, რაც შეადგენს 600 სოლიდს.

§ 3. უკეთუ მოკლულის გვამს 3 თუ მეტი ჭრილობა ექნება, მაშინ 3 მხილებულს, როგორც ამ ჯგუფის მონაწილეთ, გადახდებათ ისეთივე გადასახდელი, როგორც წინანდელ შემთხვევაში, შემდგომ 3 მხილებულნი ამ ჯგუფიდან იხდიან 3600 დენარს, ე. ი. 90 სოლიდს თვითთული; უკანასკნელი სამნი კი ამ ბრბოდან იხდიან 1800 დენარს თვითთული, რაც შეადგენს 45 სოლიდს.

§ 4. ხოლო რომაელის, ლიტის ან ბიქის (მონის)¹ მკვლელობისათვის გადახდილი იქნება ნახევარი.

§ 5. უკეთუ ვინმე თავს დაესხმის სხვის ვილას და დაეუფლება იქ არსებულ ქონებას, მაგრამ ეს არ იქნება ჯეროვნად დამტკიცებული, მას შეუძლია თავი დააღწიოს ბრალდებას ორივე მოდავე მხარის მიერ არჩეული 25 თანამოფიცრის საშუალებით; ხოლო თუ იგი ვერ იპოვნის თანამოფიცრებს, გადახდება 2500 დენარი, რაც შეადგენს 63 სოლიდს.

XLIII. ჯგუფის მიერ ადამიანის მკვლელობის შესახებ

§ 1. უკეთუ ვინმეს, 5 კაცის შეკრებაზე მყოფს, მოკლავს რომელიმე მათგანი, დანარჩენებმა ან უნდა გასცენ დამნაშავე. ან ყველამ უნდა აგოს პასუხი მოკლულის სიკვდილისათვის; ესევე კანონი დაცული უნდა იყოს იმ შემთხვევაშიც, როცა ჯგუფში 7 კაცია.

§ 2. უკეთუ შეკრებაზე 7 კაცზე მეტი იყო, ყველა კი არ აგებს პასუხს (მკვლელობისათვის), არამედ მხოლოდ ისინი, ვისი ბრალიც დამტკიცდება; სწორედ ისინი იხდიან სისხლს კანონის მიხედვით.

§ 3. უკეთუ ვინმეს, როცა იგი იმყოფება სახლგარეთ, გზაში, ან მინდორში, მოკლავს ჯგუფი, და თუ მას აღმოაჩნდება 3 ან მეტი ჭრილობა, მაშინ სამმა ამ ჯგუფიდან, რომელთა წინააღმდეგაც სამხილები აღმოაჩნდება, ცალ-ცალკე უნდა აგონ პასუხი

¹ იგულისხმება მეფის მსახური (ministeriales) — მონების მაღალი ჯგუფი, რომლებიც მეფის კარზე მსახურობდნენ.

მკვლელობისათვის; დანარჩენი 3 იხდის 1200 დენარს, რაც შეადგენს 30 სოლიდს, ხოლო უკანასკნელი 3 ამ ჯგუფიდან იხდის 600 დენარს, რაც შეადგენს 15 სოლიდს.

XLIV. Reipus-ის შესახებ¹

§ 1. აღათის მიხედვით, (თუ) კაცი, როცა კვდება, დატოვებს ქვრივს, და ვინმე მოისურვებს მის შერთვას, მაშინ, ვიდრე იგი მასზე დაქორწინდებოდეს, ტუნგინმა ან ცენტენარიმ უნდა დანიშნოს სასამართლო სხდომა, და ამ სხდომაზე თან უნდა ჰქონდეს ფარი, და სამმა კაცმა უნდა წარადგინონ სამი სარჩელი, და მაშინ იმას, ვისაც სურს ქვრივი შეერთოს, უნდა ჰქონდეს 3 წონასწორი სოლიდი და 1 დენარი. და უნდა იყოს სამი, ვინც აწონის მის სოლიდებს; და თუ ამის შემდეგ თანახმანი იქნებიან, მას შეუძლია შეერთოს (ქვრივი ცოლად).

§ 2. უკეთუ ამას არ იხამს და ისე შეერთავს მას, უნდა გადაუხადოს reipus-ის უფლების მქონეს 2500 დენარი, რაც შეადგენს 63 სოლიდს.

§ 3. ხოლო თუ იგი ყოველივე ჩვენ მიერ ზემო აღნიშნულს შეასრულებს კანონის თანახმად, იმათ, ვისაც ეკუთვნის reipus-ი, ეძლევათ 3 სოლიდი და 1 დენარი.

დამ. 1-ლი. აი როგორ უნდა განსხვავდეს, თუ ვის ეკუთვნის reipus-ი.

§ 4. უკეთუ ყველაზე უფროსი აღმოჩნდება დის ვაჟი, მან უნდა მიიღოს reipus-ი.

§ 5. უკეთუ დის ვაჟი არ აღმოჩნდება, reipus-ს იღებს მისი უფროსი ვაჟი.

§ 6. უკეთუ დისწულის ვაჟი არ აღმოჩნდება, reipus-ი უნდა მიიღოს დეიდაშვილის ვაჟმა (consobrine filius qui ex maternae genere venit).

§ 7. უკეთუ დეიდაშვილის ვაჟი არ აღმოჩნდება, reipus-ი უნდა მიიღოს ბიძამ, დედის ძმამ.

§ 8. უკეთუ ბიძა არ აღმოჩნდება, reipus-ი უნდა მიიღოს იმის ძმამ, ვისაც იგი (ქვრივი) წინათ ცოლად ჰყავდა, ოღონდ იმ პირობით, თუ მას მემკვიდრეობის ფლობა არ მოუხდება.

¹ სალიკური სამართლის მიხედვით, „Reipus“ ნიშნავს სახლაურს, რომელსაც იხდის ის პირი, ვინც თხოულობს ქვრივ ქალს (Ringgeld — ბეჭდის ფული).

§ 9. უკეთუ ძმაც არ იქნება, reipus-ი უნდა მიიღოს იმან, ვინც დასახელებულ, ცალ-ცალკე ჩამოთვლილს გარდა, ნათესაობის ხარისხის მიხედვით, უფრო მახლობელი აღმოჩნდება თვით მეექვსე თაობამდე, ოღონდ იმ პირობით, თუ იგი ვერ მიიღებს დასახელებული ქალის გარდაცვლილი ქმრის მემკვიდრეობას.

§ 10. უკეთუ არ აღმოჩნდებიან ნათესავეები მეექვსე თაობამდე (ჩათვლით), მაშინ ხაზინაში შედის თვით reipus-იც და ის ჯარიმაც, რომელიც მისჯილი იქნება ამის გამო აღძრული დავის შემთხვევაში.

XLV. გალასახლავლთა შესახებ

§ 1. უკეთუ ვინმე მოისურვებს გადასახლდეს სხვის ვილაში და თუ ვილას ერთი ან რამდენიმე მცხოვრები მოისურვებს მის მიღებას, მაგრამ აღმოჩნდება თუნდაც ერთი, ვინც წინააღმდეგობა გადასახლებას, მას უფლება არ ექნება იქ დასახლდეს.

§ 2. უკეთუ, ერთი ან ორი პირის აკრძალვის მიუხედავად, იგი ვაბედავს ამ ვილაში დასახლებას, მაშინ მას უნდა წაუყენონ პროტესტი; და თუ იგი არ მოისურვებს იქიდან წასვლას, იმან, ვინც პროტესტს წარადგენს, მოწმეთა დასწრებით უნდა მიმართოს მას ასეთი მოთხოვნით: „აი გეუბნები, რომ ამ უახლოეს ღამეს შენ სალიკური კანონის თანახმად, შეგიძლია აქ დარჩე, მაგრამ გიცხადებ აგრეთვე, რომ 10 ღამის განმავლობაში უნდა წახვიდე ამ ვილადან“. მერე, 10 ღამის გავლის შემდეგ, იგი კვლავ მივიდეს მასთან და ხელმეორედ გამოუცხადოს, რომ ის 10 შემდგომი ღამის განმავლობაში წავიდეს. ხოლო თუ ის მაშინაც არ მოისურვებს წასვლას, მესამეჯერ მიემატება მის ვადას 10 ღამე, რათა ამნაირად 30 ღამე შესრულდეს. თუ მაშინაც არ მოისურვებს წასვლას, დაიბაროს იგი სასამართლოში, თან იყოლიოს მოწმენი, რომელნიც იქ იყვნენ თვითნებური ვადის გამოცხადებისას. თუ ის, ვისაც პროტესტი წაუყენეს, არ მოისურვებს იქიდან წასვლას, თუ ამასთან მას არ შეაფერხებს რაიმე კანონიერი დაბრკოლება და თუ მას ყოველივე ზემონათქვამი, კანონის მიხედვით, გამოეცხადა, მაშინ პროტესტის განმცხადებელი თავლებობს თავისი ქონებით და თხოვს გრავს გამოცხადდეს ადგილზე, რათა გააძევოს იგი იქიდან. და იმისათვის, რომ მას არ სურდა კანონს დამორჩილებოდა, იგი იქ ჰკარგავს (თავისი) შრომის ნაყოფს და, გარდა ამისა, გადახდება 1200 დენარი, რაც შეადგენს 30 სოლიდს.

ლამ. 1-ლი. უკეთუ მოიწვევს ვინმეს გადასახლდეს სხვის ვილაში წინასწარი შეთანხმების გარეშე, გადახდება 1800 ლენარი, რაც შეადგენს 45 სოლიდს.

§ 3. უკეთუ გადასახლებულს 12 თვის განმავლობაში არავითარი პროტესტი არ წარედგინება, იგი ხელუხლებელი უნდა დარჩეს, ისე როგორც სხვა მეზობელი.¹

XLVI. ქონების გადასახლების შესახებ²

§ 1. (ამასთან) საჭიროა დაცულ იქნას შემდეგი: ტუნგინმა თუ ცენტენარიუსმა დანიშნონ სასამართლო კრება, და ამ კრებაზე (თან) უნდა იქონიონ ფარი, და სამმა კაცმა უნდა წარადგინოს სამი სარჩელი. შემდეგ გამონახონ კაცი, რომელიც მისი (მოანდერძის) ნათესავი არ არის და რომელსაც მან (მოანდერძემ) კალთაში ჩაუგდოს ღერო. და იმას, ვის კალთაშიც ღეროს ჩაუგდებს, განუცხადოს თავის ქონების შესახებ, სახელდობრ, რამდენი სურს გადასცეს, ყველაფერი თუ არა, და ვის. და ის ვის კალთაშიც მან ღერო ჩააგდო, უნდა დარჩეს მის სახლში. და უნდა მოიწვიოს სამი თუ მეტი სტუმარი და შეინახოს ქონების ის ნაწილი, რომელიც მას მინდობილი აქვს. და ამის შემდეგ იმან, ვისაც ეს მინდობილი აქვს, უნდა იმოქმედოს შეკრებილ მოწმეებთან ერთად. შემდეგ მეფის დასწრებით ან სასამართლო კრებაზე აიღოს ღერო და ჩაუგდოს კალთაში იმათ, ვინც მემკვიდრეებად იყო დანიშნული 12 თვის წინათ, და მისცეს ქონება იმათ, ვისაც იგი ნაანდერძევი აქვს, იმაზე არც მეტი, არც ნაკლები რაოდენობით, რაც მას ჰქონდა მინდობილი. ხოლო თუ ვინმე მოისურვებს რაიმე თქვას ამის წინააღმდეგ, სამმა მოწმემ ფიცი უნდა დადოს, რომ ისინი ესწრებოდნენ იმ სხდომას, რომელიც დანიშნული იყო ტუნგინის თუ ცენტენარის მიერ, და ნახეს, თუ როგორ ჩაუგდო კალთაში ღერო თავის ქონების გადაცემის მსურველმა იმას, ვინც მან აირჩია; მათ ცალ-ცალკე უნდა ახსენონ იმის სახელიც, ვინც თავისი ქონება სხვის კალთაში ჩააგდო, და იმის სახელიც, ვინც მან მემკვიდრედ

¹ მოყვანილი ტიტულის ერთ გვიანდელი წარმოშობის ტექსტში აღნიშნულია, რომ „არ შეუძლია ადამიანს გადასახლდეს, თუ მეზობლები გზით, წელითა და საძოვრებით“. (არ განოთქვამენ თანხმობას, რომ მან ისარგებლოს) იხილეთ XIV ტიტულის შენიშვნა გვ. 12.

² სალიკური სამართლის ტექსტში ნახმარია გამოთქმა „De aefatmire“ რაც ნიშნავს ქონების გადაცემას სიმბოლური წესის მიხედვით.

გამოაცხადა. და სხვა სამმა მოწმემ ფიცივე უნდა აჩვენოს, რომ ის, ვის კალთაშიც ჩაუგდებულ იქნა ღერო, იყო იმის სახლში, ვინც თავისი ქონება გადასცა, რომ მან მოიწვია სამი თუ მეტი სტუმარი, რომლებიც სუფრას უსხდნენ და სკამდნენ შვრიის ბურღულს მოწმეთა დასწრებით, და რომ ამ სტუმრებმა მადლობა მოახსენეს მას მიღებისათვის. ყოველივე ეს ფიცივე უნდა დაადასტუროს სხვა მოწმეებმაც, აგრეთვე ის, რომ ვინც ქონება კალთაში მიიღო, იმან მეფის დასწრებით ან კანონიერ საჯარო კრებაზე კალთაში ჩაუგდო ღერო იმათ, ვინც მოხსენებული ქონების მემკვიდრეებად საჯაროდ იყვნენ გამოცხადებულნი ხალხის თვალწინ, (სახელდობრ) მეფის დასწრებით ან საჯარო კრებაზე, ე. ი. mallobergus-ზე, ხალხის ან ტუნგინის თვალწინ; ყოველივე ეს უნდა დაადასტუროს 9 მოწმემ.

XLVII. ქონების შესახებ¹

§ 1. უკეთუ ვინმე აღმოაჩინოს თავის მონას, ან ცხენს, ან ხარს, ან რაიმე ნივთს სხვასთან, გადასცეს ეს მესამე პირს, ხოლო იმან, ვისაც აღმოაჩინდა (ეს ნივთები), უნდა დაამტკიცოს (მათ მიმართ) თავისი უფლება. და თუ ერთიც და მეორეც ცხოვრობენ მდინარე Ligeris² ან ნახშირიანი ტყის გამოღმა, მოსარჩელემ და მოპასუხემ 40 ლამის განმავლობაში დანიშნონ ვადა სასამართლო განხილვისათვის, და ამ ხნის განმავლობაში ყველა ის, ვინც გაყიდა ცხენი, ან გადაცვალა, ან, იქნებ, გადასახდელში მისცა, ერთმანეთს უნდა დაუკავშირდეს, სახელდობრ, თვითეულმა უნდა დაიბაროს ის პირი, რომელთანაც გარიგება დასდო. და თუ სასამართლოში დაბარებული, როცა საამისოდ კანონიერი დაბრკოლებანი არ მოიპოვება, არ გამოცხადდება, მასთან გარიგების დამდებმა გაგზავნოს სამი მოწმე, რათა მათ მოიწვიონ იგი სასამართლოში; აგრეთვე მას უნდა ჰყავდეს სამი სხვა მოწმე (რომლებიც აჩვენებდნენ), რომ მან მასთან საჯაროდ დადო გარიგება. თუ იგი ამას შეასრულებს, თავს დააღწევს ქურდობაში ბრალდებას. ხოლო ის, ვინც არ გამოცხადდა, და ვინც ფიცივე აჩვენეს მოწმეებმა, აღიარებული იქნება ქურდად მოსარჩელის მიმართ, და მან უნდა აუნაზღაუროს მოპარული ნივთის ღირებულება იმას, ვისთანაც გარიგება ჰქონდა; ეს კი კანონის თანახმად გადაუხდის იმას, ვინც თავისი ნივთები გამოიღო.

¹ შეად. ტიტ. XXXVII გვ. 26.

² Ligeris უნდა ნიშნავდეს მდინარე ლუარას.

ღამ. 1-ლი. უკეთუ მოიწვევს ვინმეს გადასახლდეს სხვის ვილაში წინასწარი შეთანხმების გარეშე, გადახდება 1800 ლენარი, რაც შეადგენს 45 სოლიდს.

§ 3. უკეთუ გადასახლებულს 12 თვის განმავლობაში არავითარი პროტესტი არ წარედგინება, იგი ხელუხლებელი უნდა დარჩეს, ისე როგორც სხვა მეზობელი.¹

XLVI. ქონების გადასახლების შესახებ²

§ 1. (ამასთან) საჭიროა დაცულ იქნას შემდეგი: ტუნგინმა თუ ცენტენარიუსმა დანიშნონ სასამართლო კრება, და ამ კრებაზე (თან) უნდა იქონიონ ფარი, და სამმა კაცმა უნდა წარადგინოს სამი სარჩელი. შემდეგ გამონახონ კაცი, რომელიც მისი (მოანდერძის) ნათესავი არ არის და რომელსაც მან (მოანდერძემ) კალთაში ჩაუგდოს ღერო. და იმას, ვის კალთაშიც ღეროს ჩაუგდებს, განუცხადოს თავის ქონების შესახებ, სახელდობრ, რამდენი სურს გადასცეს, ყველაფერი თუ არა, და ვის. და ის ვის კალთაშიც მან ღერო ჩააგდო, უნდა დარჩეს მის სახლში. და უნდა მოიწვიოს სამი თუ მეტი სტუმარი და შეინახოს ქონების ის ნაწილი, რომელიც მას მინდობილი აქვს. და ამის შემდეგ იმან, ვისაც ეს მინდობილი აქვს, უნდა იმოქმედოს შეკრებილ მოწმეებთან ერთად. შემდეგ მეფის დასწრებით ან სასამართლო კრებაზე აიღოს ღერო და ჩაუგდოს კალთაში იმათ, ვინც მემკვიდრეებად იყო დანიშნული 12 თვის წინათ, და მისცეს ქონება იმათ, ვისაც იგი ნაანდერძევი აქვს, იმაზე არც მეტი, არც ნაკლები რაოდენობით, რაც მას ჰქონდა მინდობილი. ხოლო თუ ვინმე მოისურვებს რაიმე თქვას ამის წინააღმდეგ, სამმა მოწმემ ფიცი უნდა დადოს, რომ ისინი ესწრებოდნენ იმ სხდომას, რომელიც დანიშნული იყო ტუნგინის თუ ცენტენარის მიერ, და ნახეს, თუ როგორ ჩაუგდო კალთაში ღერო თავის ქონების გადაცემის მსურველმა იმას, ვინც მან აირჩია; მათ ცალ-ცალკე უნდა ახსენონ იმის სახელიც, ვინც თავისი ქონება სხვის კალთაში ჩააგდო, და იმის სახელიც, ვინც მან მემკვიდრედ

¹ მოყვანილი ტიტულის ერთ გვიანდელი წარწერის ტექსტში აღნიშნულია, რომ „არ შეუძლია ადამიანს გადასახლდეს, თუ მეზობლები გზით, წელითა და საძოვრებით“. (არ განოთქვამენ თანხმობას, რომ მან ისარგებლოს) იხილეთ XIV ტიტულის შენიშვნა გვ. 12.

² სალიკურის სამართლის ტექსტში ნახმარია გამოთქმა „De aefatmire“, რაც ნიშნავს ქონების გადაცემას სიმბოლური წესის მიხედვით.

გამოაცხადა. და სხვა სამმა მოწმემ ფიცივე უნდა აჩვენოს, რომ ის, ვის კალთაშიც ჩაუგდებულ იქნა ღერო, იყო იმის სახლში, ვინც თავისი ქონება გადასცა, რომ მან მოიწვია სამი თუ მეტი სტუმარი, რომლებიც სუფრას უსხდნენ და სკამდნენ შვრიის ბურღულს მოწმეთა დასწრებით, და რომ ამ სტუმრებმა მადლობა მოახსენეს მას მიღებისათვის. ყოველივე ეს ფიცივე უნდა დაადასტუროს სხვა მოწმეებმაც, აგრეთვე ის, რომ ვინც ქონება კალთაში მიიღო, იმან მეფის დასწრებით ან კანონიერ საჯარო კრებაზე კალთაში ჩაუგდო ღერო იმათ, ვინც მოხსენებული ქონების მემკვიდრეებად საჯაროდ იყვნენ გამოცხადებულნი ხალხის თვალწინ, (სახელდობრ) მეფის დასწრებით ან საჯარო კრებაზე, ე. ი. mallobergus-ზე, ხალხის ან ტუნგინის თვალწინ; ყოველივე ეს უნდა დაადასტუროს 9 მოწმემ.

XLVII. ქონების შესახებ¹

§ 1. უკეთუ ვინმე აღმოაჩინოს თავის მონას, ან ცხენს, ან ხარს, ან რაიმე ნივთს სხვასთან, გადასცეს ეს მესამე პირს, ხოლო იმან, ვისაც აღმოაჩინდა (ეს ნივთები), უნდა დაამტკიცოს (მათ მიმართ) თავისი უფლება. და თუ ერთიც და მეორეც ცხოვრობენ მდინარე Ligeris² ან ნახშირიანი ტყის გამოღმა, მოსარჩელემ და მოპასუხემ 40 ღამის განმავლობაში დანიშნონ ვადა სასამართლო განხილვისათვის, და ამ ხნის განმავლობაში ყველა ის, ვინც გაყიდა ცხენი, ან გადაცვალა, ან, იქნებ, გადასახდელში მისცა, ერთმანეთს უნდა დაუკავშირდეს, სახელდობრ, თვითეულმა უნდა დაიბაროს ის პირი, რომელთანაც გარიგება დასდო. და თუ სასამართლოში დაბარებული, როცა საამისოდ კანონიერი დაბრკოლებანი არ მოიპოვება, არ გამოცხადდება, მასთან გარიგების დამდებმა გაგზავნოს სამი მოწმე, რათა მათ მოიწვიონ იგი სასამართლოში; აგრეთვე მას უნდა ჰყავდეს სამი სხვა მოწმე (რომლებიც აჩვენებდნენ), რომ მან მასთან საჯაროდ დადო გარიგება. თუ იგი ამას შეასრულებს, თავს დააღწევს ქურდობაში ბრალდებას. ხოლო ის, ვინც არ გამოცხადდა, და ვინც ფიცივე აჩვენეს მოწმეებმა, აღიარებული იქნება ქურდად მოსარჩელის მიმართ, და მან უნდა აუნაზღაუროს მოპარული ნივთის ღირებულება იმას, ვისთანაც გარიგება ჰქონდა; ეს კი კანონის თანახმად გადაუხდის იმას, ვინც თავისი ნივთები გამოიღო.

¹ შეად. ტიტ. XXXVII გვ. 26.

² Ligeris უნდა ნიშნავდეს მდინარე ლუარას.

ყოველივე ეს უნდა ხდებოდეს სასამართლო სხდომაზე, მოპასუხის დასწრებით, რომელსაც პირველად უპოვნეს ნივთი, რაც შემდეგ მესამე პირს გადაეცა. ხოლო თუ ისინი, ვისთანაც აღმოაჩინეს ნივთი, მდინარე Ligeris ან ნახშირიანი ტყის გაღმა ცხოვრობენ, ეს კანონი შესრულებული უნდა იქნას 80 ლამის განმავლობაში.

XLVIII. გუილი ჩვენების შესახებ

§ 1. უკეთუ ვინმე ტყუილ ჩვენებას მისცემს, გადახდება 600 დენარი, რაც შეადგენს 15 სოლიდს.

დამ. 1-ლი. უკეთუ ვინმე ფიცით ბრალს დასდებს სხვას იმაში, რომ მან მისცა ტყუილი ჩვენება და ვერ შესძლებს ანის დამტკიცებას, ცილისმწაჩებელს გადახდება 15 სოლიდი.

დამ. მე-2. ხოლო თუ ვინმეს ბრალად დაედება ცრუმოწმეობა და ის, ვინც ბრალსა სდებს, შესძლებს დაამტკიცოს თავისი ბრალდება, ცრუმოწმეს გადახდება 15 სოლიდი.

§ 2. უკეთუ ვინმეს ბრალად დაედება ის, რომ ტყუილი ჩვენება მისცა, თვითეული მოწმეთაგანი იხდის 5 სოლიდს.

§ 3. იმას კი, ვინც მხილებული იქნება (ტყუილი ჩვენების მიცემაში და ცრუმოწმეთა გამოყენებაში), გადახდება 600 დენარი, რაც შეადგენს 15 სოლიდს; ამაში არ შედის ღირებულების გადახდა, ზარალის ანაზღაურება და საქმის წაგება.

XLIX. მოწმების შესახებ

§ 1. უკეთუ ვინმე იძულებული იქნება წარმოადგინოს მოწმეები და ისინი, შესაძლოა, არ მოისურვებენ სასამართლო სხდომაზე გამოცხადებას, იმან, ვინც მათ საჭიროებს, უნდა დააკმაყოფილოს ისინი და მოწმეთა დასწრებით მიიწვიოს სასამართლო სხდომაზე, რათა მათ ფიცქვეშ აჩვენონ ის, რაც იციან.

§ 2. უკეთუ ისინი არ მოისურვებენ მოვიდნენ და თუ მათ არ დააკავებს კანონიერი დაბრკოლება, თვითეულ მათგანს გადახდება 600 დენარი, რაც შეადგენს 15 სოლიდს.

§ 3. ხოლო თუ მოწმეებად დაბარებულნი მოვლენ, მაგრამ არ მოისურვებენ ფიცქვეშ აჩვენონ ის, რაც იციან, ისინი კანონგარეშე იქნებიან გამოცხადებულნი და თვითეულ მათგანს გადახდება 600 დენარი, რაც შეადგენს 15 სოლიდს.

L. ვალდებულების შესახებ

§ 1. უკეთუ ვინმე თავისუფალი ადამიანი ან ლიტი მისცემს სხვას ვალდებულებას, ის, ვისაც ვალდებულება მიეცა, 40 ლამის ვაფლის, ან მათ შორის დადგენილი ვადის შემდეგ, უნდა გამოცხადდეს მის სახლში მოწმეთა თანხლებით და იმასთან ერთად, ვინც უნდა შეაფასოს ქონება. და თუ მოვალე არ მოისურვებს გადაიხადოს ვალდებულების მიხედვით, მას, ვალდებულებაში აღნიშნული ვადის გარდა, გადახდება 15 სოლიდი.

§ 2. მაგრამ თუ იგი დაჟინებით უარს იტყვის ვალდებულების განაღდებაზე, (კრედიტორმა) უნდა გამოიწვიოს იგი სასამართლოში და იქ ასე იშუამდგომლოს დაუყოვნებლივ იძულების შესახებ: „გთხოვ შენ, ტუნგინო, გამოაცხადო დაუყოვნებლივ იძულება ჩემი მოწინააღმდეგის მიმართ, რომელმაც ვალდებულება მომცა და ჩემგან სესხი აიღო“. ამასთან უნდა აღნიშნოს ვალდებულებით გაცემული ოდენობა. მაშინ ტუნგინმა უნდა თქვას: „მე ვაცხადებ მის მიმართ დაუყოვნებლივ იძულებას, სალიკური კანონის თანახმად“. შემდეგ იმან, ვისაც მიცემული აქვს ვალდებულება, საზეიმო ფორმით უნდა მოითხოვოს, რომ მოვალემ სხვას არავის არ გადაუხადოს, არც იკისროს გადახდის თავდებობა, ვიდრე ვალდებულებით კუთვნილს არ დააკმაყოფილებს. და საჩქაროდ, იმავე დღეს, ვიდრე მზე ჩავიდოდეს, მოწმეებთან ერთად უნდა გამოცხადდეს მოვალის სახლში და თხოვოს ვადის გადახდა. თუ იგი არ მოისურვებს ამ თხოვნის შესრულებას, დაუნიშნოს მას ვადა სასამართლო გარჩევისათვის; ამ შემთხვევაში ვალი მატულობს 120 დენარით, რაც შეადგენს 3 სოლიდს. ეს უნდა გაიმეოროს 3-ჯერ, 3 კვირის განმავლობაში, და თუ მე-3 ჯერ არ დათანხმდება გადაიხადოს, მაშინ ვალი დაეგადიდდეს 360 დენარით, რაც შეადგენს 9 სოლიდს, ასე რომ სასამართლო გარჩევაზე თვითეული მოწმევის ან ვადის დანიშვნის შემდეგ ვალი მატულობს 3 სოლიდით.

§ 3. უკეთუ ვინმე არ მოისურვებს კანონიერ ვადაში გადაიხადოს ვალდებულების მიხედვით, მაშინ ის, ვისაც ვალდებულება აქვს მიცემული, წავიდეს იმ ოლქის გრაფთან, სადაც ცხოვრობს, თან წაიღოს ღერო და მიმართოს მას შემდეგი სიტყვებით: „გრაფ, იმ კაცს ჩემი ვალი მართებს, და მე კანონიერი წესით გამოვიწვიე ის სასამართლოში, სალიკური კანონის თანახმად. მე ჩემი თავით და ჩემი ქონებით ვთავდებობ, რომ შენ თამამად შეგიძლია ხელი

დაადო მის ქონებას“. და აცნობოს, რა მიზეზით და რა თანხის ვალდებულებაა მიცემული. ამის შემდეგ გრაფმა თან წაიყვანოს 7 უფლებათუარაიანი რახინბურგი, მათთან ერთად გაემგზავროს იმის სახლში, ვინც ვალდებულება იკისრა, და უთხრას: „აი შენ ახლა შენი ნება-სურვილით გადაუხადე ამ კაცს ვალდებულების მიხედვით და აირჩიე ორი რომელიმე რახინბურგი, რომლებიც განსაზღვრავენ შენი შემოსავლის ღირებულებას და წყაროებს, და სამართლიანი შეფასების თანახმად გადაიხადე კუთვნილი“. თუ ამას არ დათანხმდება პირადად თუ დაუსწრებლად, მაშინ რახინბურგებმა თვითონ წაიღონ მისი ქონებიდან ის რაოდენობა, რომელიც შეეფერება ვალის ოდენობას, და ქონების ღირებულებიდან, კანონის თანახმად, ორი ნაწილი გაღებულ იქნას მოსარჩელის სასარგებლოდ, ხოლო მესამე ნაწილს აიღებს გრაფი „fritus“-ის სახით, თუკი „fritus“-ი ამ საქმეზე წინათ არ ყოფილა გადახდილი.

§ 4. თუ გრაფს სთხოვენ (შეასრულოს ყოველივე ზემონათქვამი) და ის, როცა დაკავებული არ არის არც საკმაო მიზეზით, არც მეფის სამსახურით, არც თვითონ წავა და არც გაგზავნის მოადგილეს, რომელიც მოითხოვდა სამართლიანობასა და მართლმსაჯულებას, ჩას სიცოცხლე უნდა მოესპოს, ან მან თავი უნდა გამოისყიდოს იმდენად, რამდენიც დადგენილია.

LI

§ 1. უკეთუ ვინმე არაკანონიერად მოიწვევს გრაფს—გაემგზავროს სხვისი ნივთის საკონფისკაციოდ, სახელდობრ, თუ მოვალე წინასწარ არ ყოფილა დაბარებული სასამართლოში, ან თუ თვით ვალდებულება არ არსებობს, — გადახდება 8000 დენარი, რაც შეადგენს 200 სოლიდს.

დამ. 1-ლი. უკეთუ ის, ვინც გრაფსა სთხოვს, უკანონოდ მოახდენს რაიმეს კონფისკაციას, გადახდება 200 სოლიდი.

§ 2. უკეთუ გრაფი, ხსენებული საქმის გამო მოწვეული, გაბედავს წაიღოს რაიმე კანონიერი და სამართლიანი ვალის ზედმეტი, მან ან თავი უნდა გამოისყიდოს ან თავისი სიცოცხლით აგოს პასუხი.

LII. სისხლის შესახებ

§ 1. უკეთუ ვინმე სხვას სესხად მისცემს რაიმეს თავისი ნივთებიდან და იგი არ მოისურვებს დაუბრუნოს მას, მან შემდეგნაირად უნდა დაიბაროს იგი სასამართლოში. მოწმეებთან ერთად მივიდეს იმის სახლში, ვისაც თავისი ნივთები სესხად მისცა, და განუცხადოს

დოს შემდეგი: „რადგანაც შენ არ მოისურვე დაგებრუნებინა ჩემთვის ჩემი ნივთები, რომლებიც მე მოგეცი, ამ ლამეს კიდევ შეგიძლია დააკავო ისინი, სალიკური კანონის თანახმად“. და დაუნიშნოს მას ვადა (დასაბრუნებლად). თუ მაშინაც არ მოისურვებს დააბრუნოს, უნდა გაუგრძელოს ვადა 7 ლამით. და 7 ლამის გასვლის შემდეგ ასევე განუცხადოს, რომ მას შეუძლია იქონიოს ნივთები უახლოესი ლამის განმავლობაში, სალიკური კანონის თანახმად. ხოლო თუ მაშინაც არ მოისურვებს დააბრუნოს, სხვა 7 ლამის გასვლის შემდეგ ამგვარადვე მივიდეს მასთან მოწმეებთან ერთად და თხოვოს დააბრუნოს ის, რაც მას ეკუთვნის. თუ მაშინაც არ მოისურვებს გადაიხადოს, დაე დაუნიშნოს მას გარკვეული ვადა. თუ იგი სამჯერ დაუნიშნავს მას გარკვეულ ვადას, ყოველჯერ ვალს ემატება 120 დენარი, ე. ი. 3 სოლიდი. თუ იგი მაშინაც არ მოისურვებს დააბრუნოს, ან მისცეს გადახდის ვალდებულება, ვალისა და იმ 9 სოლიდის გარდა, რაც დაემატა სამჯერ მოგონების გამო, მოვალეს გადახდება 600 დენარი, რაც შეადგენს 15 სოლიდს.

LIII. მღულრისაგან სხლის დახსნის შესახებ

§ 1. თუ ვინმეს მიესჯება გამოცდა მღულარე წყლით, მხარეებს შეუძლიათ შეთანხმდნენ, რომ მსჯავრდადებულმა დაიხსნას თავისი ხელი და იკისროს ვალდებულება წარმოადგინოს თანამოციტარნი. თუ დანაშაული ისეთი აღმოჩნდება, რომლისთვისაც ბრალეულმა, მხილების შემთხვევაში, კანონით უნდა გადაიხადოს 600 დენარი, რაც შეადგენს 15 სოლიდს, მას შეუძლია დაიხსნას თავისი ხელი 120 დენარად, რაც შეადგენს 3 სოლიდს.

§ 2. უკეთუ იგი მეტს გაიღებს ხელის დასახსნელად, უნდა გადაუხადოს გრაფს „fritus“-ი, თითქოს დანაშაულისათვის, რომელშიც მხილებულ იქნა.

§ 3. ხოლო თუ დანაშაული ისეთი იქნება, რომლისთვისაც, მხილების შემთხვევაში, ბრალეულს შეიძლება მიესაჯოს 35 სოლიდის გადახდა, თუ მხარენი შეთანხმდებიან, რომ მან დაიხსნას თავისი ხელი, დაე დაიხსნას იგი 240 დენარად, რაც შეადგენს 6 სოლიდს.

¹ ორიგინალში წერია „ad ineam“; იგულისხმება გამოცდა მღულარე წყლით (იხ. ვახტანგის სამართლის წიგნი მე-8).

§. 4. უკეთუ იგი მეტს გაიღებს, დაე გადაუხადოს გრატს „fritus“-ი იმდენი, რამდენსაც იგი გადაიხდიდა დამტკიცებული დანაშაულისათვის. ხელის ეს გამოსასყიდი ძალაში უნდა რჩებოდეს თვით სისხლის დაურევამდე¹.

დამ. 1-ლი. უკეთუ დანაშაული მეტი იქნება, სახელდობრ ისეთი, რომლისთვისაც შეეძლოთ მიესაჯათ 62 $\frac{1}{2}$ სოლიდის გადახდა, და მხარენი შეთანხმდებიან ხელის გამოსყიდვის შესახებ, დაე 15 სოლიდად გამოისყიდოს თავისი ხელი.

დამ. მე-2. ხოლო თუ მეტს გაიღებს, დაე გრატს გადაუხადოს „fritus“-ი, თითქოს დანაშაულისათვის, რომელშიც ის მხილებულ იქნა. ეს გამოსასყიდი უნდა რჩებოდეს ძალაში თვით სისხლის დაურევამდე.

5. უკეთუ ვინმე სხვას ბრალად დასდებს მკვლელობას და მოითხოვს მის გამოცდას მღურღით, და თუ მხარენი შეთანხმდებიან, რომ მან წარმოადგინოს თანამოფიცარნი და გამოისყიდოს თავისი ხელი, მან უნდა გამოისყიდოს თავისი ხელი 1200 დენარად, რაც შეადგენს 30 სოლიდს.

§ 6. უკეთუ ის მეტს გაიღებს, „fritus“-ი გრატს მიეცემა სისხლიდან².

LIV. გრაუსი მკვლელობის შესახებ

§ 1. უკეთუ ვინმე მოკლავს გრატს, გადახდება 24000 დენარი, რაც შეადგენს 600 სოლიდს.

§ 2. უკეთუ ვინმე მოკლავს საცეზარონს³ ან ვიცე-გრატს, რომელიც მეფის მსახური იყო, გადახდება 12000 დენარი, რაც შეადგენს 300 სოლიდს.

§ 3. უკეთუ ვინმე მოკლავს საცეზარონს — თავისუფალ ადამიანს, გადახდება 24000 დენარი, რაც შეადგენს 600 სოლიდს.

§ 4. ცალკეულ სასამართლო კრებებში არ უნდა იყოს სამ საცეზარონზე მეტი, და თუ მათ მიერ გამოტანილია განაჩენი იმ საქმეთა გამო, რომელთათვის მათ „fritus“-ი მიიღეს, ეს კვლავ არ უნდა ეცნობოს გრატს, რათა მან გადასინჯოს საქმე⁴.

¹ ორიგინალში წერია ad leudem; განმარტება იხილე—თავი XLI, § 9, დამატება 5, შენიშვნა.

² ორიგინალში წერია: fretus de leodem grafionem solvat.

³ მეფის მოხელე, რომელიც fritus ჰქრეფდა.

⁴ კომენტატორების აზრით, ეს პარაგრაფი მეტად დამახინჯებულია.

LV. ვაჟის გაქარვვის შესახებ

§ 1. უკეთუ ვინმე ქურდულად გაძარცვავს მოკლული კაცის გვამს, ვიდრე მას მიწას მიაბარებდნენ, გადახდება 2500 დენარი, რაც შეადგენს 63 სოლიდს.

დამ. 1-ლი. უკეთუ ვინმე გაძარცვავს გარდაცვლილის საფლავის ბორცვს, გადახდება 15 სოლიდი.

დამ. მე-2. უკეთუ ვინმე დააზიანებს დამარხული კაცის საფლავზე აღმართულ ძეგლს, ან გაძარცვავს მკვდრის გამყოლ ჯალამბერს, როგორც ერთისა, ისე მეორისათვის გადახდება 15 სოლიდი.

§ 2. უკეთუ ვინმე ამოთხრის უკვე დამარხულ გვამს და გაძარცვავს და მხილებული იქნება, კანონგარეშე გამოცხადდეს¹ იმ დღემდე, ვიდრე ის დააკმაყოფილებდეს გარდაცვლილის ნათესავეებს; უკანასკნელებმა თვითონ უნდა ითხოვონ მისთვის, რომ მას ნება დაერთოს იცხოვროს ადამიანთა შორის. და თუ, ვიდრე ის შეურიგდებოდეს მიცვალებულის ნათესავეებს, ვინმე მას მისცემს პურს, ან თავშესაფარს მისცემს, იქნებიან ეს ნიშნობები (ნათესავეები?), ან მისი საკუთარი ცოლიც კი, გადახდება 600 დენარი, რაც შეადგენს 15 სოლიდს.

§ 3. ხოლო თვითონ ამის დაშვებაში მხილებულს გადახდება 800 დენარი, რაც შეადგენს 200 სოლიდს.

§ 4. უკეთუ ვინმე მკვდარს გადაავდებს სხვის ორმოში ან სხვის ჭაში და მხილებული იქნება, გადახდება 1800 დენარი, რაც შეადგენს 45 სოლიდს.

დამ. მე-3. უკეთუ ვინმე გაძარცვავს გარდაცვლილის საფლავზე მდგარ სამლოცველოს, გადახდება 30 სოლიდი.

დამ. მე-4. უკეთუ ვინმე დასწვავს გარდაცვლილის განსასვენებლად ან ღვთის მსახურებისათვის განკუთვნილ სამლოცველოს, გადახდება 200 სოლიდი.

დამ. მე-5. უკეთუ ვინმე მოკლავს მღვდელს, გადახდება 24000 დენარი, რაც შეადგენს 600 სოლიდს.

დამ. მე-6. უკეთუ ვინმე მოკლავს დიაკონს, გადახდება 12000 დენარი, რაც შეადგენს 300 სოლიდს.

დამ. მე-7. უკეთუ ვინმე მოკლავს ეპისკოპოსს, გადახდება 900 სოლიდი.

¹ ორიგინალში წერია „vargus sit“, რაც ნიშნავდა კანონგარეშე გამოცხადებას, მშვიდობის აღკვეთას, საზოგადოებიდან განდევნას.

LVI. სასამართლოვი გამოუხადებლობის შესახებ

დამ. 1-ლი. უკეთუ ვინმე სხვას ბრალად დასდებს სასამართლოში იმას, რომ მან არ მოისურვა მიეცა ვალდებულება ან გადაეხადა ვალი, მაშინ რახინბურგები, ვიდრე მოისმენდნენ საქმეს კანონის თანახმად, მოსარჩელესთან ერთად უნდა მოვიდნენ მოპასუხის სახლში და განუცხადონ, რომ მან ვალი უნდა გადაიხადოს. თუ ის უარს იტყვის გადახდაზე, მაშინ მოსარჩელემ მას კანონის მიხედვით ვადა უნდა გაუგრძელოს და უკვე შემდეგ მოიწვიოს გრაფი მის სახლში და ეძებოს თავისი ნივთები კანონის თანახმად.

§ 1. უკეთუ ვინმე უგულბელჰყოფს სასამართლოში გამოცხადებას, ან დააყოვნებს იმის შესრულებას, რაც მას გადაუწყვიტეს რახინბურგებმა, და არ მოისურვებს გარიგებას მიაღწიოს არც კომპოზიციის გზით, არც მდულარე წყლით გამოცდის გზით ან სხვა რაიმე კანონიერი წესით, მაშინ მოსარჩელემ უნდა დაიბაროს იგი სასამართლოში თვით მეფის წინაშე. და იქ იქნება 12 მოწმე, რომელთაგან სამმა პირველმა დაიფიცოს, რომ ისინი იყვნენ იქ, სადაც რახინბურგმა მიუსაჯა, რათა მას მდულრით გამოცდა გაეგლოს ან კომპოზიციის გადახდის ვალდებულება მიეცა, და რომ მან უგულბელჰყო (რახინბურგთა დადგენილება). ხოლო მერე სამმა სხვა მოწმემ უნდა დაიფიცოს, რომ მას შემდეგ, რაც გამოტანილ იქნა რახინბურგების დადგენილება, რომ იგი გაწმენდილი ყოფილიყო მდულრით ან კომპოზიციის გადახდით, ისინი დაესწრნენ, როცა მას ხელმეორედ მიეცა წინადადება — გამოცხადებულიყო სასამართლოში 40 ღამის განმავლობაში, იმ დღიდან დაწყებული, და მან არასგზით არ მოისურვა დაეკმაყოფილებინა კანონის მოთხოვნა. მაშინ მოსარჩელემ უნდა დაიბაროს იგი მეფის წინაშე, სახელდობრ, 14 ღამის განმავლობაში, და სამმა მოწმემ უნდა დაიფიცოს, რომ ისინი იყვნენ იქ იმ დროს, როცა მან დაიბარა იგი სასამართლოში და დაუნიშნა მას გარკვეული ვადა. თუ მაშინაც არ გამოცხადდება, ამ 9 მოწმემ ფიცქვეშ მისცენ თავისი ჩვენება, როგორც ზემოთ ვთქვით. ასევე, თუ იგი არ გამოცხადდება იმ დღეს, (მოსარჩელემ) დაუნიშნოს მას გარკვეული ვადა, ამასთან იყოლიოს სამი მოწმე ვადის დანიშვნისას. თუ მოსარჩელემ ყოველივე ეს შეასრულა, ხოლო მოპასუხებმ არც ერთ დანიშნულ ვადაში არ მოისურვა გამოცხადება, მაშინ დაე მეფემ, რომელთანაც იგი დაბარებულია სასამართლოში, გამო-

აცხადოს იგი თავის შუარველობის გარეშე¹. მაშინ თვითონ ბრალეულიც და მთელი მისი ქონებაც მოსარჩელის საკუთრება ხდება. და თუ მანამდე, სანამ იგი არ გადაიხდის ყველაფერს, რაც უნდა გადაიხადოს, ვინმე მისცენ მას პურს, ან თავშესაფარს, თუნდაც მისი საკუთარი ცოლი იყოს, გადახდება 600 დენარი, რაც შეადგენს 15 სოლიდს.

LVII. რახინბურგების შესახებ

§ 1. უკეთუ რომელიმე რახინბურგებიდან, როცა სასამართლო სხდომაზე მოხაწილეობენ და არჩევენ ორ პირს შორის ატეხილ დავას, უარს იტყვიან გამოცხადონ კანონი, მოსარჩელემ უნდა უთხრას მათ: „აქ როგორცდებთ გამოიტანოთ გადაწყვეტილება სალიკური კანონის თანახმად“. თუ ისინი კიდევ უარს იტყვიან განაცხადონ კანონი, შვიდ ამ რახინბურგთაგან მზის ჩასვლამდე გადახდება 120 დენარი, რაც შეადგენს 3 სოლიდს.

§ 2. უკეთუ ისინი არც კანონის გამოცხადებას მოისურვებენ და არც ვალდებულებას იკისრებენ, რომ დანიშნულ ვადაში გადაიხდიან 3 სოლიდს თვითთული, გადახდებათ 600 დენარი, რაც შეადგენს 15 სოლიდს.

§ 3. უკეთუ ეს რახინბურგები გაასამართლებენ არა კანონის მიხედვით, იმან, ვის წინააღმდეგაც ისინი გამოიტანენ გადაწყვეტილებას, დაე წაუყენოს მათ სარჩელი, და თუ შესძლებს დაამტკიცოს, რომ გაასამართლეს არა კანონის მიხედვით, თვითთული მათგანს გადახდება 600 დენარი, რაც შეადგენს 15 სოლიდს.

დამ. 1-ლი. უკეთუ რახინბურგები წარმოსთქვამენ კანონს (გამოიტანენ სასამართლიან განაჩენს) და ის, ვის წინააღმდეგაც ისინი წარმოსთქვამენ, ბრალს დასდებს მათ უკანონო მსაჯურდადებაში, მასაც გადახდება თვითთული მათგანისათვის 15 სოლიდი.

LVIII. მუჭა მიწის შესახებ²

§ 1. უკეთუ ვინმე მოკლავს კაცს და, მთელი ქონების გაღების მიუხედავად, ვერ შესძლებს კანონით კუთვნილის გადახდას, მან უნდა წარმოადგინოს 12 თანამოციტარი, რომ არც მიწაზე,

¹ ორიგინალში წერია: „extra sermonem suum ponat“.

² ორიგინალში წერია: „De chrenecruda“, რაც ნიშნავს კომპოზიციის გადახდის ნოვალეობის ნათესავეებისათვის გადაცემას მუჭა მიწის გადასრულის სიმბოლური ქტის გზით.

არც მიწის ქვეშ მას არა აქვს იმაზე მეტი ქონება, რაც უკვე გაიღო. და შემდეგ იგი უნდა შევიდეს თავის სახლში, 4 კუთხიდან მუჭად შეაგროვოს მიწა, დადგეს ზღურბლზე, შიგ სახლისაკენ პირშებრუნებული, და ეს მიწა, მარცხენა ხელით თავის მხრებზე გადატანით, ესროლოს იმას, ვისაც იგი თვლის თავის უახლოეს ნათესავად. უკეთუ მამამ და ძმებმა უკვე გადაიხადეს, მაშინ მან იგივე მიწა უნდა ესროლოს თავისიანებს, ე. ი. სამ უახლოეს დედისეულ და მამისეულ ნათესავს. მერე, პერანგით, უქამროდ, უფეხსაცმლოდ, სარით ხელში, უნდა გადახტეს ღობეზე, ხოლო ამ სამმა (დედისეულმა ნათესავმა) უნდა გადაიხადოს იმის ნახევარი, რამდენიც კანონით კუთვნილი კომპოზიციიდან არ არის გადახდილი. ასევე უნდა მოიქცნენ სამნი დანარჩენნიც, მამისეული ნათესავნი. ხოლო თუ რომელიმე მათგანი ძალიან ღარიბი აღმოჩნდება, რომ თავისი წილი გადაიხადოს, მან თავის მხრივ მუჭა მიწა უნდა ესროლოს რომელიმე უფრო შეძლებულს, რათა მან სულ გადაიხადოს კანონის მიხედვით. უკეთუ მასაც არ ექნება, რომ მთლად გადაიხადოს, მაშინ იმან, ვინც მკვლელის თავდებობა იკისრა, წარადგინოს იგი სასამართლო სხდომაზე, და იქ შემდეგ 4 სხდომის განმავლობაში თავდებად დაუდგეს მას. უკეთუ არავინ ითავდებებს კომპოზიციის გადახდას, ე. ი. იმის ანაზღაურებას, რაც მას არ გადაუხდია, მაშინ კომპოზიცია თავისი სიცოცხლით უნდა გადაიხადოს.

დამ. 1-ლი. ამჟამად, თუ მას არაფერი არ ექნება, რომ თავისი საკუთარი ნივთებიდან გადაიხადოს, ან თუ ვერ შესძლებს დაიცვას თავი კანონის მიხედვით, უნდა აღსრულდეს ყოველივე ზემოთქმული თვით სიკვდილამდე.

LIX. ალოღის შესახებ¹

§ 1. უკეთუ ვინმე მოკვდება და შვილებს არ დასტოვებს, და თუ დედა ცოცხალი დარჩება, იგი დაეუფლოს მემკვიდრეობას.

§ 2. უკეთუ დედა არ აღმოჩნდება და თუ მას დარჩება ძმა ან და, დაე დაეუფლონ მემკვიდრეობას.

¹ მოგვყავს შესადარებლად ნაწყვეტი მარკულფის ფორმულიდან, რომლის მიხედვით ქალიშვილი ძმების თანაბრად მონაწილეობს მამის ალოღის მემკვიდრეობაში: „ჩემს უტკბეს ქალიშვილს ამას და ამას მე ესა და ეს. ძველთაძველი, მაგრამ უღვთო ადათი არსებობს ჩვენს შორის, რომ დებს მამისეულ მიწის (მემკვიდრეობაში) არ ჰქონდეთ წილი ძმების თანაბრად; მე კი, ამ უღვთო ადათის მოფიქრებული განსჯის შემდეგ, [გადავწყვიტე], რომ ყველა თქვენგანზე თანა-

§ 3. იმ შემთხვევაში, თუ ისინი არ იქნებიან, დედა დაეუფლოს მემკვიდრეობას.

დამ. 1. უკეთუ არ იქნება დედა, მამიდებმა მიიღონ მემკვიდრეობა.

§ 4. უკეთუ შემდეგ აღმოჩნდება უფრო მახლობელი ამ თაობათაგან, იგი დაეუფლოს მემკვიდრეობას.

§ 5. ხოლო ადგილ-მამული არავითარ შემთხვევაში არ უნდა დარჩეს ქალს მემკვიდრეობად, არამედ მთელი მიწა გადავიდეს მამაკაცების, ე. ი. ძმების ხელში.

LX. ვისაც სურს ხალი აიღოს ნათესაობაზე

§ 1. იგი უნდა გამოცხადდეს სასამართლო სხდომაზე, ტუნგინის¹ წინაშე და იქ თავზე გადაიმტვირლოს წყრთას ოღენა სამი ჯოხი. და იგი სასამართლო სხდომაზე მიყარ-მოყაროს 4 მხარეს და იქ თქვას, რომ იგი ხელს იღებს თანამოციტარობაზე, მემკვიდრეობაზე, და მათთან ყოველგვარ ანგარიშზე. და თუ შემდეგ ვინმე, რომელიმე მისი ნათესავთაგანი ან მოკლული იქნება, ან მოკვდება, იგი სრულიადაც არ უნდა მონაწილეობდეს მემკვიდრეობაში, ან კომპოზიციის გადახდაში, ხოლო მისი მემკვიდრეობა ხაზინაში უნდა გადავიდეს.

LXI. გაქარხვის შესახებ

§ 1. უკეთუ ვინმე თავისი ხელით მოიტაცებს რაიმეს სხვისგან, უნდა აანაზღაუროს ნივთის ღირებულება და, გარდა ამისა, გადაიხადოს 1200 დენარი, რაც შეადგენს 30 სოლიდს.

ბრად ვრცელდებოდეს ჩემი სიყვარული და რომ თქვენ ყველამ, როგორც ღვთის მიერ ჩემთვის ერთნაირად ბოძებულმა შვილებმა, თანაბრად ისარგებლოთ ჩემი სიკვდილის შემდეგ ჩემი ქონებით. ამიტომ ამ სიგელით მე გხდი შენ, უტკბესო ჩემო ქალიშვილო, შენი ძმების, ჩემი ვაჟების, კანონიერ და თანასწორუფლებიან მონაწილედ მთელი ჩემი მემკვიდრეობისა, რათა როგორც მამის ალოღური, ისე შეძენილი მიწა, აგრეთვე მონები და ყოველივე, რასაც ჩვენ დავტოვეთ სიკვდილის შემდეგ, შენი ძმების, ჩემი შვილების, თანაბრად გაიყოს და არასგხით არ მიიღო მათთან შედარებით ნაკლები წილი, არამედ ყოველივე თქვენ ურთიერთშორის თანაბრად გაიყოს...“

იხ. Н. П. Грацианский, Западная Европа в средние века, 1925 г. стр. 24.

¹ ტუნგინი—არჩეული მოსამართლე, რომელმაც ჯერ კიდევ VI საუკუნის პირველ ნახევარში დაჰკარგა სასამართლო ხელისუფლება და მისი ფუნქციები გადაეცა მეფის მონღელებს (გრაფებს, ვიცეგრაფებს და საცებარონებს).

§ 2. უკეთუ ვინმე გაძარცვავს გვამს, გადახდება 2500 დენარი, რაც შეადგენს 63 სოლიდს. ასევე, თუ ვინმე ცოცხალ ადამიანს ძალადობით რაიმეს წაართმევს, გადახდება 63 სოლიდი.

§ 3. უკეთუ ვინმე განიზრახავს გადასცეს მესამე პირს რაიმე ნივთი, ხოლო მერე ძალდატანებით დაადებს მას ხელს, გადახდება 1200 დენარი, რაც შეადგენს 30 სოლიდს.

დამ. 1-ლი. უკეთუ ვინმე გაძარცვავს მძინარე ადამიანს, გადახდება 100 სოლიდი.

LXII. გველუღის კომპოზიციის შესახებ

§ 1. უკეთუ მოკლავენ ვინმეს მამას, კომპოზიციის ნახევარი წაიღონ მისმა ვაჟებმა, მეორე ნახევარი გაიყონ ერთმანეთს შორის უახლოესმა ნათესავებმა, როგორც მამისეულმა, ისე დედისეულმა.

2. უკეთუ არც ერთი მხრიდან, არც მამის მხრიდან, არც დედის მხრიდან არაფეთარი ნათესავი არ აღმოჩნდება, ეს ნაწილი გადადის ხაზინის სასარგებლოდ.

LXIII. თავისუფალი ადამიანის ლაშქრობისას გველუღის შესახებ

§ 1. უკეთუ ვინმე ლაშქრობაში სიცოცხლეს მოუსპობს თავისუფალ ადამიანს, და მოკლული არ იყო მეფის სამსახურში, (მკვლელს) გადახდება 24000 დენარი, რაც შეადგენს 600 სოლიდს.

§ 2. უკეთუ მოკლული მეფის ამაღლაში იყო, მკვლელობაში მხილებულს გადახდება 1800 სოლიდი.

LXIV. ჯადოქრობის ბრალდების შესახებ¹

§ 1. უკეთუ ვინმე სხვას უწოდებს ჯადოქარს, ე. ი. კუდიანს ან ისეთს, რომლის შესახებაც ხმებია გავრცელებული, რითქოს იგი დაატარებდეს ქვაბს, სადაც კუდიანები ხარშავენ (თავის წამალს), გადახდება 2500 დენარი, რაც შეადგენს 63 სოლიდს.

§ 2. უკეთუ ვინმე თავისუფალ ქალს უწოდებს კუდიანს და ვერ შესძლებს ამის დამტკიცებას, გადახდება 2500 დენარი, რაც შეადგენს სამჯერ 89 სოლიდს (?)².

დამ. 1-ლი. თუ ჯადოქარი შესჭამს ადამიანს და მხილებული იქნება, გადახდება 8000 დენარი, რაც შეადგენს 200 სოლიდს.

¹ ორიგინალში წერია: „De herburgium“, რაც ნიშნავს ჯადოქრობის ბრალდ დადების. საერთოდ ეს ტერმინი სადავოა.

² ჯარიმის ოდენობა გაუგებარია და ეჭვს იწვევს.

LXV. უკეთუ ვინმე გველუღს სხვას გააყავებს¹ კატრონის თანხმობის გარეშე

§ 1. უკეთუ ვინმე გაატყავებს ცხენს კატრონის თანხმობის გარეშე და დაკითხვისას გამოტყდება, მისცეს (სხვა) ცხენი მთლიანად.

§ 6. უკეთუ განიზრახავს უარჰყოს და მხილებული იქნება, გადახდება 1200 დენარი, რაც შეადგენს 30 სოლიდს; ამაში არ შედის ღირებულების გადახდა და ზარალის ანაზღაურება.

კაპიტულარი (ხლოდვიგისა)²

9. ორი ვილას შუა მოკლული კაცის შესახებ

უკეთუ, როგორც ხდება, ვილას ახლოს ან ორ მეზობელ ვილას შუა მოკლეს კაცი, და მკვლელი არ აღმოჩნდა, მაშინ მოსამართლე, ე. ი. გრაფი, უნდა მივიდეს ადგილზე და იქ ბუკი დაუტარას. და უკეთუ მოსულთაგან არავინ გამოიცნო გვამი, მაშინ მეზობლებმა, რომელთა მინდორზე ან მიჯნაზე ნაპოვნია გვამი, უნდა ააგონ ხუთი ფუტი სიმაღლის ფიცარნაგი და მოსამართლის დასწრებით აღმართონ მასზე გვამი. და მოსამართლემ უნდა გამოაცხადოს და თქვას: ეს კაცი მოკლულია თქვენს მინდორზე და მიჯნაზე. მოვითხოვ, რათა შვიდ დღემდე არ ჩამდხნან იგი, ხოლო ამ მკვლელობის გამო გიბარებთ თქვენ სასამართლოში; გამოცხადდით უახლოეს გასამართლებს დღეს, და თქვენ გეტყვიან, თუ თქვენ, კანონის მიხედვით, რა უნდა შეასრულოთ. ამის შემდეგ მეზობლები, რომლებსაც მოსამართლემ ეს გამოუცხადა, 40 დამის გასვლამდე უნდა გაიწმიდონ — შეძლებულები³ სამოცდახუთი მოფიცარით, რომ მათ არ მოუკლავთ და არც იციან ვინ მოკლა;

¹ ორიგინალში წერია: „decotato“, რაც გრაციანსკის ნათარგმნი აქვს „отрежетъ хвостъ“; ტექსტის ასეთი გაგება სწორი არ უნდა იყოს. ჩვენ ვთარგმნით როგორც „გატყავებას“ და ჩვენს აზრს ამაგრებს ის გარემოება, რომ ტექსტის სხვადასხვა ვარიანტში ნახვარია სიტყვა: „excorticaverit, decorticaverit, ხოლო ეს სიტყვები ნიშნავს სწორედ „გატყავებას“. შეად. თავი XXXVIII, § 8.

² იხ. Д. И. Егоров — Lex Salica, Киев, 1903 г. стр. 99. კაპიტულარები ავსებენ, განმარტავენ ან აუქმებენ სალიკური სამართლის ცალკეულ ნორმებს ხეშოთ მოყვანილ კაპიტულარს მეფე ხლოდვიგს მიაწერენ. იგი უფრო მოგვიანო წ. რომოშობისაა, ვიდრე თვით სალიკური კანონი.

³ ტექსტში წერია: „melioras“, რაც ნიშნავს „უკეთესს“ „შეძლებულს“, „მდიდარს“.

ლარიბები¹ კი — ხუთმეტით. უკეთუ ამას 40 ლამის გავლამდე ვერ შეასრულებენ, კანონის მიხედვით უნდა აანაზღაურონ მოკლულის სისხლი. ხოლო თუ დაიფიცებენ, როგორც ზემოთ ვთქვით, არ მოეთხოვებათ არავითარი კომპოზიცია.

ჰილპერიკ მეფის ედიქტიდან²

3... უკეთუ ვინმე, ვისაც მეზობლები ჰყავს (vicinos habens), თავისი სიკვდილის შემდეგ დატოვებს ვაჟებს ან ქალიშვილებს, ვიდრე ვაჟები ცოცხალნი არიან, დაე ისინი ფლობდნენ მიწას სალიკური კანონის თანახმად. უკეთუ ვაჟები უცებ მოკვდნენ, დაე ქალიშვილმა მიიღოს ეს მიწები ისევე, როგორც მიიღებდნენ მათ ვაჟები, ცოცხალნი რომ დარჩენილიყვნენ. ხოლო უკეთუ ძმა მოკვდა, მეორე კი ცოცხალი დარჩა, დაე ძმამ მიიღოს მიწები — არა მეზობლებმა (non vicini). ხოლო უკეთუ ძმამ სიკვდილისას არ დატოვა ცოცხალი ძმა, მაშინ და დაეუფლოს ამ მიწას.

პროლოგი I

იწყება სალიკური კანონის პროლოგი.

ფრანკთა ხალხი არის სახელოვანი, შემოქმედი ღვთის მიერ შექმნილი, იარაღით ძლიერი, სამშვიდობო ხელშეკრულებაში ურყევი, რჩევაში ბრძენი, სხეულით კეთილშობილი, სისუფთავის მხრივ წუნდაუდებელი, წარმოსადგეობით საუცხოო, გაბედული, სწრაფი და უღმობელი, კათოლიკურ რჯულზე მოქცეული, ერესისაგან თავისუფალი. როდესაც ჯერ კიდევ ბარბაროსობას ადგა, ღვთის შთაგონებით, ეძებდა ცოდნის გასაღებს, თავის ჩვეულებათა მიხედვით, მოსურნე იყო სამართლიანობისა და ინარჩუნებდა ღვთისმოშიშობას. სალიკური კანონი ნაკარნახევი იყო ამ ხალხის უფროსთა მიერ, რომელნიც მაშინ მისი მმართველნი იყვნენ. მრავალ კაცთაგან აირჩიეს ოთხი, სახელდობრ: ვიზოგასტი, ბოდოგასტი, სალეგასტი და ვიდოგასტი, ადგილებში, რომლებსაც ეწოდება სალხამე, ბოდოხამე, ვიდოხამე. ამ კაცებმა თავი მოიყარეს სამ სხდომაზე, გულ-

¹ ტექსტში წერია: „minoflidis“, რაც ნიშნავს „ხელმოკლეს“, „ლარიბს“, „მდაბიოს“.

² გამოცემულია 561 და 534 წლებს შუა. მოყვანილი ედიქტი ჩვეულებრივად აღინიშნება როგორც სალიკური სამართლის LXXVIII ტიტული ან როგორც V კაპიტულარი (იხ. Д. Н. Егоров. Lex Salica, Киев, 1906 г. стр. 118).

დასმით განიხილეს დავათა ყველა საბაბი და თვითეული მათგანის გამო გამოიტანეს ცალკეული გადაწყვეტილება, როგორც ქვემოთ არის მოყვანილი. ხოლო როცა, ღვთის კურთხევით, ფრანკთა მეფემ — სწრაფმა და მშვენიერმა ხლოდვიგმა პირველმა მიიღო კათოლიკური ნათლობა, ყოველივე, რაც კი ამ ძეგლდებაში უხერხული აღმოჩნდა, გასწორებულ იქნა მეტი სიცხადით სახელგანთქმული მეფეების ხლოდვიგის, ჰილდებერტისა და ხლოტარის მიერ.

დიდება ქრისტეს, ფრანკთა მოსიყვარულეს! ჰფარვიდეს მათ სამეფოს და აღავსებდეს მათ მმართველთ თავისი მადლის შუქით! მფარველობდეს ჯარსაც, განამტკიცებდეს მათ რჯულს! მშვიდობის სიხარულსა და ნეტარებას! ჰფარვიდეს უფალთა უფალი იესო ქრისტე ღვთისმოსავობას! ვინაიდან ეს არის მამაცი და ძლიერი ტომი, რომელმაც იარაღით გადაიგდო თავიდან რომაელთა უმძიმესი უღელი, შეიცნო ნათლისღების სიწმინდე და უხვად შეამკო ოქროთი და ძვირფასი ქვებით გვამები წმიდა მოწამეთა, რომლებიც რომაელებმა ცეცხლში დასწვეს, რკინით მოჰკლეს ან დაასახიჩრეს, ან მხეცთა დასაგლეჯად გადააგდეს.

პროლოგი II

ფრანკებს ნებავდათ და დადგენილ იქნა მათსა და მათ წინამძღოლებს შორის აღეკვეთათ, შინაური მშვიდობის შენარჩუნების მიზნით, დავის ყველა საძულველი საბაბი, და რადგანაც ისინი ყველა გარშემო მცხოვრებ ხალხს აღმატებოდნენ სიმამაცით, ამის შესაბამისად აღმატებოდნენ მათ კანონის ავტორიტეტითაც, რათა დაწინაურდნენ ხარისხის შესაფერისად მიღებული ყოფილიყო სასამართლო გადაწყვეტილებანიც. მათ შორის მრავალთაგან არჩეულ იქნა 4 კაცი, სახელდობრ: ვიზოგასტი, სალეგასტი, აროგასტი და ვიდოგასტი. რეინის გაღმა მდებარე სოფლებში, ბოდოხემში, სალეხემსა და ვიდოხემში, მათ თავი მოიყარეს 3 სხდომაზე და მზრუნველობით განიხილეს დავათა ყველა საბაბი და გამოიტანეს თვითეულის გამო ცალკეული გადაწყვეტილება.

ეპილოგი I

დასრულებულია სალიკური კანონი, რომელიც მთლიანად აღებული, როგორც ჩანს, შეიცავს ქვემოხსენებულ ოთხ წიგნს. ფრანკების პირველმა მეფემ დაადგინა ეხელმძღვანელათ სასამართლო გადაწყვეტილებებში ტიტულებით 1-დან 62-მდე. ხოლო

შემდეგ თავის მახლობლებთან ერთად დაუმატა 63 ტიტულიდან 78-მდე. ხოლო მეფე ჰილდებერტი, დიდი ხნის შემდეგ, ფიქრობდა, თუ რა უნდა ყოფილიყო დამატებული, და შესაფერისად მიიჩნია შეეტანა დამატებანი 78-ე ტიტულიდან 83-მდე, რაც კიდევ გადასცა თავის ძმას ხლოტარს წერილობითი სახით. ხლოტარმა კი, რომელმაც მადლობით მიიღო ეს ტიტულები თავისი უფროსი ძმისაგან, შემდეგ თავის სამეფოს კაცებთან ერთად იმსჯელა, თუ რა უნდა დამატებოდა ამას, რა უნდა დადგენილიყო ახლად, და დაადგინა ის, რაც მოსდევს 89-ე ტიტულიდან 93-მდე. და შემდეგ ახლად დაწერილი გადასცა თავის ძმას, და მათ გადაწყვიტეს, რათა ყოველივე ეს დაცული ყოფილიყო ურყევად, როგორც წინათ დაწერილიც.

ეპილოგი II

დასრულებულია 3 წიგნი სალიკური კანონისა, რომელიც დაადგინა ფრანკთა მეფემ და შემდეგ ფრანკებთან ერთად გადაწყვიტა დაერთო 63 ტიტულისათვის ზოგიერთი დამატება, ასე რომ სულ გამოვიდა 78 ტიტული. მერე ჰილდებერტმა, დიდი ხნის შემდეგ, იმსჯელა თავის ფრანკებთან ერთად, რა უნდა დამატებულიყო აქ, და საჭიროდ მიიჩნია დამატებანი 78 ტიტულიდან 84-მდე. ხოლო როცა ხლოტარმა მადლობით მიიღო ეს ტიტულები თავისი უფროსი ძმისაგან, მან თვითონაც დაადგინა თავის სამეფოს კაცებთან ერთად დაერთო დამატება 84-ე ტიტულიდან, რაც კიდევ შეასრულა და ყოველივე წინათ დაწერილთან ერთად გადასცა თავის ძმას. და გადაწყვიტეს, რათა ყოველივე ის, რაც მათ დაადგინეს, ურყევად ყოფილიყო დაცული. დასასრული.

სალიკური კანონის შენაჯამი

დაეცნობილი იყოს, რომ სალიკური კანონის ზოგიერთი (ნუსხა) შეიცავს 65 თავს, ზოგიერთი კი 70; ზოგიერთში კი ცოტათი მეტი, თუ ცოტათი ნაკლები. რაც შეეხება ცალკეულ თავებს, ზოგიერთ ნუსხაში არის 300; არის ნაირსახეობანიც ზოგიერთ ნუსხაში—ზოგში ნაკლები, ზოგში მეტი.

გამოკვლეულ უნდა იქნას, თუ როგორ განსხვავდებიან სალიკური კანონის კომპოზიციები, მათგან რომელია ყველაზე მცირე და რომელია ყველაზე დიდი. სულ არის 358 კომპოზიცია, ხოლო ნაირსახეობა 31.

1. უწინარეს ყოვლისა 7 დენარი, თუ ვინმე ბატკანს მოიპარავს (შეად. VI, 1).

2. ათი დენარი, თუ ვინმე სხვის ქანას დააზიანებს (შეად. Her. X, 7 და Emend. X, 10).

3. 1 სოლიდი, თუ ვინმე სახლს გარეთ მოიპარავს გოქს, რომელსაც უდებოდ გაძლება შეუძლია (შეად. II, 2).

4. 1 სოლიდი მესამედით, თუ ვინმე სხვის მონას სცემს (შეად. XXXV, Add. 1).

5. 3 სოლიდი, თუ ვინმე სამ თხას მოიპარავს. ეს კომპოზიცია 3 სოლიდის ოდენობით იხსენიება 41-ჯერ სალიკურ კანონში (შეად. V, I).

6. 3 სოლიდი და 1 დენარი, თუ ვინმე მოისურვებს ცოლად შეერთოს ქვრივი (შეად. XLIV, I).

7. 5 სოლიდი—ეს მეორე კომპოზიციაა გაძარცვის დროს (შეად. XIII, 2).

8. 6 სოლიდი მონის გამოსასყიდად, რათა იგი არ დაასაჭურისონ. ეს კომპოზიცია 6 სოლიდის ოდენობით იხსენიება 5 ჯერ (შეად. XXV, 7).

9. $7\frac{1}{2}$ სოლიდი, თუ ვინმე დაარტყამს მაკე ღორს, ისე რომ მას გოჭები არ ეყოლება (შეად. II, 3).

10. 9 სოლიდი, თუ ვინმე გაარტყამს სხვას შეკუმშულ მუჭს; ეს კომპოზიცია 9 სოლიდის ოდენობით იხსენიება სამჯერ (შეად. XVII, 8).

11. $12\frac{1}{2}$ სოლიდი, თუ ვინმე მსახურს მომაკვდინებელ საფრთხეში ჩააგდებს, ხოლო ღმერთი მას შეიწყალებს (?).

12. 15 სოლიდი, თუ ვინმე სხვის საცოლეს მოიტაცებს; ეს კომპოზიცია 15 სოლიდის ოდენობით იხსენიება 93 ჯერ (შეად. XIII, Add. 3).

13. $17\frac{1}{2}$ სოლიდი, თუ ვინმე სხვის ტახს მოიპარავს; ეს კომპოზიცია $17\frac{1}{2}$ სოლიდის ოდენობით იხსენიება 3-ჯერ (შეად. II, 11).

14. $22\frac{1}{2}$ სოლიდი, თუ ვინმე ზღვაში გადააგდებს რომაელს, რომელიც ვალდებულია ხარკი იხადოს (შეად. XLI, 7, Add. 8).

15. 25 სოლიდი, თუ ვინმე მოკლავს შინამსახურს (შეად. XXXV, 6 ?).

16. 30 სოლიდი, თუ ვინმე მოიპარავს სხვის მონა-ქალს. ეს კომპოზიცია 30 სოლიდის ოდენობით იხსენიება 28-ჯერ (შეად. X, Add. 2).

17. 35 სოლიდი, თუ ვინმე სხვის მონას მოიპარავს. ეს კომპოზიცია 35 სოლიდის ოდენობით იხსენიება 24-ჯერ (შეად. X, Add. 1, 5).

18. 45 სოლიდი, თუ ვინმე მოიპარავს (ულაყს) ვაყას, ეს კომპოზიცია 45 სოლიდის ოდენობით იხსენიება 36-ჯერ (იხ. XXXVIII, 2).

19. 50 სოლიდი, თუ ვინმე ზღვაში გადააგდებს რომაელს (შეად. XLI, 6, Add. 8).

20. 62¹/₂ სოლიდი, თუ ვინმე მოისურვებს განგმიროს კაცი მხვილით და ააცდენს. ეს კომპოზიცია 62¹/₂ სოლიდის ოდენობით იხსენიება 40-ჯერ (იხ. XVII, I).

21. 70 სოლიდი, თუ ვინმე მოიპარავს შინამსახურს მონა-ქალთან ერთად (შეად. X, Add. 4).

22. 75 სოლიდი, თუ ვინმე მოკლავს მსახურს ლაშქრობაში (?).

23. 90 სოლიდი, თუ ვინმე მოიპარავს მეფის ვაყას. ეს კომპოზიცია 90 სოლიდის ოდენობით იხსენიება 3-ჯერ, (შეად. XXXVIII, Add. 2).

24. 100 სოლიდი, თუ ვინმე მოკლავს რომაელს. ეს კომპოზიცია 100 სოლიდის ოდენობით იხსენიება 24-ჯერ (შეად. XLI, 6).

25. 188¹/₂ სოლიდი, თუ ვინმე ქალს უწოდებს ჯადოქარს ან მეძავს (შეად. XXX, 3; LXIV, 2 ?).

26. 200 სოლიდი, თუ ვინმე მოკლავს თავისუფალ ადამიანს. ეს კომპოზიცია 200 სოლიდის ოდენობით იხსენიება 17-ჯერ (შეად. XLI, 1).

27. 300 სოლიდი, თუ ვინმე მოკლავს სხვის ლიტს ლაშქრობაში. ეს კომპოზიცია 300 სოლიდის ოდენობით იხსენიება 2-ჯერ (?).

28. 600 სოლიდი, თუ ვინმე მოკლავს თავისუფალ ადამიანს ლაშქრობაში. ეს კომპოზიცია 600 სოლიდის ოდენობით იხსენიება 14-ჯერ (შეად. LXI, 1).

29. 700 სოლიდი, თუ ვინმე მოკლავს ორსულ ქალს (შეად. XXIV, 3).

30. 900 სოლიდი, თუ ვინმე მოკლავს რომაელს ან ლიტს, რომელიც მეფის სამსახურში იმყოფება (?).

31. 1800 სოლიდი, თუ ვინმე მოკლავს მეფის სამსახურში მყოფ კაცს და ქაში გადააგდებს (მის გვამს). ეს კომპოზიცია 1800 სოლიდის ოდენობით იხსენიება 2-ჯერ (შეად. LXIII, 2).

32. უკეთუ ვინმე მოკლავს 12 წლამდე ასაკის გრძელთმიან ან არაგრძელთმიან ბიჭს, გადახდება 24000 დენარი, რაც შეადგენს 600 სოლიდს (შეად. XXIV, 1, 2).

რიპუარების საპართლიან (Lex Ripuaria)¹

VII. უკეთუ ვინმე მოკლავს თავისუფალ რიპუარს, უნდა გადაიხადოს 200 სოლიდი. უკეთუ (თავის ბრალეულობას) უარჰყოფს, დაიფიცოს 12-ით.

VIII. უკეთუ ვინმე მოკლავს მონას, უნდა გადაიხადოს 36 სოლიდი ან დაიფიცოს 6-ით, რომ ეს მას არ ჩაუდენია.

IX. უკეთუ ვინმე მოკლავს მეფის კაცს (regium hominem), უნდა გადაიხადოს 100 სოლიდი, ან დაიფიცოს 12-ით.

X, § 1. უკეთუ ვინმე მოკლავს ეკლესიის კაცს (hominem ecclesiasticum), უნდა გადაიხადოს 100 სოლიდი, ან დაიფიცოს 12-ით.

XI, § 1. უკეთუ ვინმე მოკლავს მეფის ამალაში (in truste regia) მყოფ კაცს, უნდა გადაიხადოს 600 სოლიდი.

§ 2. უკეთუ უარჰყოფს (თავის ბრალეულობას)..., დაიფიცოს 72-ით.

XXVIII. უკეთუ მონა მოკლავს მონას, მისმა ბატონმა უნდა გადაიხადოს 36 სოლიდი, ანდა 6-ით დაიფიცოს, რომ მის მონას ეს არ ჩაუდენია.

XXXVI, § 11. უკეთუ ვინმე, იხდის ვერგელდს დაე გასცეს მან რქიანი, თვალხილული და ჯანსალი ხარი 2 სოლიდად. რქიანი თვალხილული და ჯანსალი ძროხა—3 სოლიდად. თვალხილული და ჯანსალი ცხენი—12 სოლიდად. თვალხილული და ჯანსალი ქაკი ცხენი—3 სოლიდად. ქარქაშიანი მახვილი—7 სოლიდად. უქარქაშო მახვილი—3 სოლიდად. კარგი ჯავშანი—12 სოლიდად. უნაკლო

¹ რიპუარელი ფრანკები ცხოვრობდნენ მდინარე რეინის ორივე მხარეს, საიდანაც წარმოსდგება მათი სახელწოდებაც: „რიპუარები“ ანუ „მდინარისპირა“ მცხოვრები ფრანკები. რიპუართა ფრანკები ჯერ კიდევ მეროვინგების დინასტიის დამაარსებლის მეფე ხლოდვიგის დროს დაპყრობილ იქნენ და შევიდნენ სალიელ ფრანკთა მონარქიაში, რის გამოც რიპუართა სამართალს ემჩნევა სალიკური სამართლის ძლიერი გავლენა. რიპუართა სამართლის ძირითადი ტექსტი, კერძოდ აქ მოყვანილი ტიტულები, მიეკუთვნება VI საუკუნეს.